

შპს „მეტრო სერვის +“

ფინანსური ანგარიშგება

*2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
[ინგლისურ ენაზე გამოშვებული ორიგინალის თარგმანი]*

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....2

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება5
სრული შემოსავლის ანგარიშგება6
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება8

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები_Toc43379807

1. შესავალი.....9
2. მომზადების საფუძველი9
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები10
6. ძირითადი საშუალებები22
7. მარაგები23
8. საავანსო გადახდები და სხვა მოკლევადიანი აქტივები.....23
9. დებიტორული დავალიანება23
10. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები23
11. კაპიტალი24
12. კრედიტორული დავალიანება24
13. იჯარები24
14. შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან25
15. სხვა საოპერაციო შემოსავალი და ხარჯი26
16. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი26
17. დაბეგვრა26
18. ფინანსური ინსტრუმენტებისათვის დამახასიათებელი რისკები27
19. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან28
20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები29

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „მეტრო სერვის +“-ის მფლობელსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „მეტრო სერვის +“-ის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც მოიცავს 2019 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, ამავე თარიღით დასრულებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, ასევე ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამებას.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებით ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტრულ ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში ფინანსური აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად

მნიშვნელოვანი გარემოება

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების მე-19 შენიშვნაზე, რომელშიც აღწერილია კომპანიის ოპერაციების მნიშვნელოვანი ნაწილის კონცენტრაცია დაკავშირებულ მხარეებთან. ჩვენი მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით არ არის მოდიფიცირებული.

სხვა ინფორმაცია, რომელიც მოცემულია ხელმძღვანელობის ანგარიშში

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებაში მოცემულ ინფორმაციას, მაგრამ არ შეიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და მასზე გაცემულ ჩვენს აუდიტორულ დასკვნას. ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა ზემოთ მითითებული სხვა ინფორმაციის გაცნობა და იმის განსაზღვრა, ეს სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან სათანადო მარეგულირებელ ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ მიერ სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით, დავასკვნით, რომ ეს სხვა ინფორმაცია არსებითად მცდარია, ჩვენ უნდა განვაცხადოთ ეს ფაქტი. ამასთან დაკავშირებით არაფერი გვაქვს განსაცხადებელი.

ჩვენი აზრით, აუდიტის პროცესში ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე, მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ▶ შეესაბამება 2019 წლის 31 დეკემბრისათვის დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებას ;
- ▶ მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას.

დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და აუდიტის პროცესში პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ▶ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი დასკვნისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის ვერ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული უზუსტობის ვერ გამოვლენის რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, განზრახ უმოქმედობას, არასწორ განცხადებებს ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებებისთვის სათანადო აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;

- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი გაურკვეველობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ჩვენ გვევალება აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, ჩვენი დასკვნა შეცვალეთ თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები არაადეკვატურია. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორული ანგარიშის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით კომპანია შეიძლება უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;
- ▶ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, გამჟღავნებულ ინფორმაციას და იმას, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი აუდიტზე, რომლის შედეგიცაა ეს დასკვნა, არის გელა მღებრიშვილი.

შპს „ნექსია თიეი“-ს სახელით,

2020 წლის 15 ივნისი

თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „დაირექტ დებიტ ჯორჯია“-ს მფლობელსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „დაირექტ დებიტ ჯორჯია“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც მოიცავს 2019 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, ამავე თარიღით დასრულებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, ასევე ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების შეჯამებას.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში ფინანსური აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოება

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების მე-19 შენიშვნაზე, რომელშიც აღწერილია კომპანიის ოპერაციების მნიშვნელოვანი ნაწილის კონცენტრაცია დაკავშირებულ მხარეებთან. ჩვენი მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით არ არის მოდიფიცირებული.

სხვა ინფორმაცია, რომელიც მოცემულია კომპანიის მმართველობის ანგარიშგებაში

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის მმართველობის ანგარიშგებაში მოცემულ ინფორმაციას, მაგრამ არ შეიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორულ დასკვნას. ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული ჩვენი აუდიტორული მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა ზემოთ მითითებული სხვა ინფორმაციის გაცნობა და იმის განსაზღვრა, ეს სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტების მოთხოვნებთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ მიერ სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით, დავასკვნით, რომ ეს სხვა ინფორმაცია არსებითად მცდარია, ჩვენ უნდა განვაცხადოთ ეს ფაქტი. ამასთან დაკავშირებით არაფერი გვაქვს განსაცხადებელი.

ჩვენი აზრით, აუდიტის პროცესში ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე, ხელმძღვანელობის ანგარიშში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ▶ შეესაბამება 2019 წლის 31 დეკემბრისათვის დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებას;
- ▶ მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად. ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას.

დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და აუდიტის პროცესში პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას. გარდა ამისა, ჩვენ:

- ▶ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ▶ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი აუდიტზე, რომლის შედეგიცაა ეს დასკვნა, არის გელა მღებრიშვილი.

შპს „ნექსია თიეი“-ს სახელით

თბილისი, საქართველო

29 მაისი, 2020



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ათას ლარში)

	<i>შენიშვნები</i>	2019	2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	18,361	11,346
არამატერიალური აქტივები		448	333
აქტივის გამოყენების უფლება	13	401	-
ძირითადი საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებში გადახდილი ავანსები		1,691	1,896
		20,901	13,575
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	7	467	227
გადახდილი ავანსები და სხვა მოკლევადიანი აქტივები	8	257	227
დებიტორული დავალიანება	9	442	702
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	10	3,608	5,134
		4,774	6,290
სულ აქტივები		25,675	19,865
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	11	2,850	2,850
გაუნაწილებელი მოგება	11	5,105	4,683
სულ კაპიტალი		7,955	7,533
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული ავანსები	14	12,250	4,450
საიჯარო ვალდებულებები		170	-
		12,420	4,450
მოკლევადიანი ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანება	12	856	3,664
მიღებული ავანსები	14	4,200	4,202
საიჯარო ვალდებულებები	13	228	-
გადასახდელი სამემოსავლო გადასახადი		16	16
		5,300	7,882
სულ ვალდებულებები		17,720	12,332
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		25,675	19,865

ფინანსური ანგარიშგება, რომელიც წარმოდგენილია 5-29 გვერდებზე დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს „მეტრო სერვის +“-ის ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 15 ივნისს:

დავით ლიპარტელიანი



დირექტორი

2020 წლის 15 ივნისი

შენიშვნები 9-29 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ათას ლარში)

	<i>შენიშვნები</i>	2019	2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	18,361	11,346
არამატერიალური აქტივები		448	333
აქტივის გამოყენების უფლება	13	401	-
ძირითადი საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებში გადახდილი ავანსები		1,691	1,896
		20,901	13,575
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	7	467	227
გადახდილი ავანსები და სხვა მოკლევადიანი აქტივები	8	257	227
დებიტორული დავალიანება	9	442	702
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	10	3,608	5,134
		4,774	6,290
სულ აქტივები		25,675	19,865
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	11	2,850	2,850
გაუნაწილებელი მოგება	11	5,105	4,683
სულ კაპიტალი		7,955	7,533
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული ავანსები	14	12,250	4,450
საიჯარო ვალდებულებები		170	-
		12,420	4,450
მოკლევადიანი ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანება	12	856	3,664
მიღებული ავანსები	14	4,200	4,202
საიჯარო ვალდებულებები	13	228	-
გადასახდელი სამემოსავლო გადასახადი		16	16
		5,300	7,882
სულ ვალდებულებები		17,720	12,332
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		25,675	19,865

ფინანსური ანგარიშგება, რომელიც წარმოდგენილია 5-29 გვერდებზე დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს „მეტრო სერვისი“-ის ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 15 ივნისს:

დავით ლიპარტელიანი

დირექტორი

2020 წლის 15 ივნისი

შენიშვნები 9-29 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სრული შემოსავლის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ათას ლარში)

	<i>შენიშვნები</i>	2019	2018
ტრანზაქციების დამუშავებიდან მიღებული შემოსავალი		7,392	8,231
სატრანსპორტო ბარათების რეალიზაციიდან და ინიციალიზაციიდან მიღებული შემოსავალი		556	666
შემოსავალი დისპეტჩერიზაციის მომსახურებიდან		603	492
სულ შემოსავლები	14	8,551	9,389
სხვა საოპერაციო შემოსავალი	15	1,801	975
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი იჯარა	16 13	(3,971) -	(3,044) (993)
ცვეთა და ამორტიზაცია	6, 13	(1,522)	(527)
სხვა საოპერაციო ხარჯები	15	(3,339)	(2,057)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		1,520	3,743
საპროცენტო ხარჯი		(1,083)	(525)
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი მოგება/(ზარალი) დაბეგრამდე		(15)	(31)
მოგების გადასახადის ხარჯი	17	-	-
წლის მოგება/(ზარალი) და მთლიანი სრული შემოსავალი		422	3,187

შენიშვნები 9-29 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

	შენიშვნები	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2017 წლის 31 დეკემბერი	11	2,850	1,496	4,346
სულ წლის სრული შემოსავალი		-	3,187	3,187
2018 წლის 31 დეკემბერი	11	2,850	4,683	7,533
სულ წლის სრული შემოსავალი		-	422	422
2019 წლის 31 დეკემბერი	11	2,850	5,105	7,955

შენიშვნები 9-29 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

**ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

	<i>შენიშვნები</i>	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
დასაბეგრი მოგება		422	3,187
<i>კორექტირებები:</i>			
ცვეთა და ამორტიზაცია	6; 13	1,522	527
ფინანსური ხარჯი		20	-
<i>საბრუნავი კაპიტალის კორექტირებები:</i>			
მარაგების შემცირება / (ზრდა)		(240)	71
გადახდილი ავანსებისა და სხვა მოკლევადიანი აქტივების ზრდა		(30)	(1,548)
დებიტორული დავალიანების ზრდა / (შემცირება)		260	(99)
კრედიტორული დავალიანება და სხვა ვალდებულებების შემცირება		4,990	7,869
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები პროცენტამდე და მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		6,944	10,007
გადახდილი პროცენტი		(20)	-
გადახდილი მოგების გადასახადი		-	(5)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		6,924	10,002
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები			
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შესყიდვა	6	(8,279)	(10,007)
შემოსავალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		3	11
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(8,276)	(9,996)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები			
საიჯარო ვალდებულების გადახდა	13	(174)	-
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(174)	-
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა / კლება		(1,526)	6
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, წლის დასაწყისში	10	5,134	5,128
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, წლის ბოლოს	10	3,608	5,134

შენიშვნები 9-29 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის*(თანხები მოცემულია ათას ლარში)***1. შესავალი**

შპს „მეტრო სერვის +“ (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც 2006 წლის 5 მაისს დაფუძნდა.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ბელიაშვილის ქუჩა 106.

სს „საქართველოს ბანკის“ ქვეკონტრაქტორის როლში, კომპანია საზოგადოებრივი ტრანსპორტის მთლიან ქსელში მგზავრობის საფასურის მოკრების სისტემის დანერგვას, ფუნქციონირებას და ტექნიკურ მომსახურებას უზრუნველყოფს.

კომპანიის სრული მფლობელია სს „ექსპრეს ტექნოლოჯიზ“ (შემდგომში „მფლობელი კომპანია“), ხოლო ძირითადი მაკონტროლებელი მხარეა შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „საქართველოს ბანკის ჯგუფი“, გაერთიანებულ სამეფოში დაფუძნებული და ლონდონის საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული კომპანია.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ჯერ არ დაუმტკიცებია მფლობელს. მფლობელი უფლებამოსილია ფინანსურ ანგარიშგებაში ცვლილებები შეიტანოს მისი გამოშვების შემდეგ.

2. მომზადების საფუძველი**(ა) შესაბამისობის დეკლარაცია**

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის (ბასს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

კომპანია წარადგენს შესადარის ინფორმაციას მიმდინარე წლის ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ ყველა თანხობრივ მაჩვენებელზე წინა წელს არსებული მონაცემების გათვალისწინებით - კერძოდ, 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა აღწერილია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ერთგვაროვნად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

(ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

(გ) ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ხელმძღვანელობამ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, ოპერაციების მომგებიანობა და ადგილობრივ თუ საერთაშორისო ფინანსურ რესურსებთან წვდომის შესაძლებლობა.

მსოფლიო და მათ შორის საქართველოს ეკონომიკური გარემო გარკვეული გამოწვევების წინაშე დადგა COVID 19-ის პანდემიის გავრცელებასთან დაკავშირებით შექმნილი ვითარების გამო. კომპანიამ მოახდინა არსებული სიტუაციის პირობებში სამომავლო პერსპექტივის შეფასება (იხილეთ შენიშვნა 19) და შედეგად, კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არ არსებობს ეჭვი კომპანიის ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის*(თანხები მოცემულია ათას ლარში)***3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები****სამუშაო და წარსადგენი ვალუტა, უცხოური ვალუტის გადაფასება**

კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტა ქართული ლარია. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღრიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის გადაფასება ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების გადაფასების შედეგად მიღებული მოგება და ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგების ნაწილში.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციის სახელშეკრულებო სავალუტო კურსსა და ოპერაციის დღეს სებ-ის მიერ დადგენილ სავალუტო კურსს შორის სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგების ნაწილში. სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად, იყო 2.8677 და 2.6766 ლარი 1 აშშ დოლართან მიმართებაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთითა და გაუფასურებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამ ღირებულებაში შედის ძირითადი საშუალების ნაწილის ჩანაცვლების ღირებულება, ამ ხარჯის დადგომისას, თუ აღიარების კრიტერიუმები დაცულია.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში სხვა საოპერაციო ხარჯის ნაწილში. შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და შედის სხვა საოპერაციო ხარჯებში, თუ ისინი კაპიტალიზაციას არ ექვემდებარება.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თარიღიდან, როდესაც აქტივი შედის ექსპლუატაციაში. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი შეფასებითი მაჩვენებლების მიხედვით:

	<i>წლები</i>
თვითმომსახურების ტერმინალები და სათადარიგო ნაწილები	10
ავეჯი და მოწყობილობები	10
კომპიუტერული ტექნიკა და საოფისე აღჭურვილობა	5
სატრანსპორტო საშუალებები	5
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5
სხვა აღჭურვილობა	5

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობაზე ცვეთის დარიცხვა ხდება ხუთ წლამდე ვადით ან შესაბამისი საიჯარო აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში. აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა და, შესაბამისად, კორექტირება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ხდება.

აღჭურვილობა და სათადარიგო ნაწილები შეიძლება მოიცავდეს მოხსნილ ძირითად სათადარიგო ნაწილებს. ასეთ აქტივებს ერიცხება ცვეთა, ვინაიდან ისინი დამონტაჟებულია არსებულ აღჭურვილობაზე.

ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღრიცხება მოგებაში ან ზარალში იმ პერიოდისთვის, რა პერიოდშიც აქტივის აღიარების შეწყვეტა მოხდა.

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის*(თანხები მოცემულია ათას ლარში)***3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)****არამატერიალური აქტივები**

არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფას.

არამატერიალური აქტივები პირველადი აღიარებისას თვითღირებულებით აღირიცხება. პირველადი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივების აღრიცხვა გრძელდება თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ამორტიზაციითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით.

არამატერიალური აქტივები ამორტიზებულია სასარგებლო ეკონომიკური მომსახურების ხუთიდან შვიდ წლამდე ვადის განმავლობაში და მათი შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში გაუფასურების ნიშნების არსებობისას ხდება. ვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადების გადაიხედება სულ მცირე ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

კომპიუტერული პროგრამების მხარდაჭერასთან დაკავშირებული დანახარჯები მათი გაწევისთანავე აღირიცხება ხარჯების ნაწილში. პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების ხარჯების (რომლებიც ახალი ან არსებითად გაუმჯობესებული კომპიუტერული პროგრამის შექმნასა და ტესტირებასთან არის დაკავშირებული) აღიარება ხდება არამატერიალური აქტივების სახით მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიას შეუძლია აჩვენოს: პროგრამის დასრულების ტექნიკური შესაძლებლობა და რომ პროგრამა მზად იქნება გამოყენებისთვის ან გასაყიდად; მისი (კომპანიის) მიზანი დაასრულოს და შესაძლებლობა გამოიყენოს ან გაყიდოს აღნიშნული აქტივი; ასევე, როგორ მოახდენს აქტივი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მოტანას; პროგრამის დასრულებისთვის საჭირო რესურსების ხელმისაწვდომობა და შესაძლებლობა, რომ პროგრამის შემუშავების/შექმნის პროცესში გაწეული დანახარჯები მისაღები სიზუსტით შეფასდეს. პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავებაზე გაწეული სხვა დანახარჯების აღრიცხვა, მათი გაწევისთანავე, სხვა ხარჯების ნაწილში ხდება.

მარაგები

მარაგები მოიცავს პლასტიკურ ბარათებსა და სხვა ნივთებს. მათი შეფასება ხდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით და მოიცავს დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მათ შესაძენად, ამჟამინდელ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ფინანსური ინსტრუმენტები - თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც, ერთი მხრივ, წარმოშობს ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ხოლო, მეორე მხრივ, მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ბასს 39 (ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება) ჩანაცვლებულია ფასს 9-ით (ფინანსური ინსტრუმენტები) 2018 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის, სადაც თავმოყრილია ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვის ყველა სამი ასპექტი: კლასიფიკაცია და შეფასება; გაუფასურება და ჰეჯირების აღრიცხვა.

კომპანიამ ფასს 9 რეტროსპექტულად გამოიყენა. სტანდარტის პირველად გამოყენების თარიღია 2018 წლის 1 იანვარი. ახალი სტანდარტის გამოყენებას გავლენა არ მოუხდენია კომპანიის 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგი კატეგორიების მიხედვით: „შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „შემდგომში

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის*(თანხები მოცემულია ათას ლარში)***3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)****ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)**

რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“ და „შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული“.

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და მათი მართვისთვის გამოყენებულ კომპანიის ბიზნესმოდელზე. იმ სავაჭრო დებიტორული ანგარიშების გარდა, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან დაფინანსების კომპონენტს ან რომლებისთვისაც კომპანიამ პრაქტიკული მიზნის მიღწევის საშუალება გამოიყენა, თავდაპირველად კომპანია ფინანსურ აქტივს აფასებს მისი რეალური ღირებულებით პლუს, მოგებაში ან ზარალში ასახული რეალური ღირებულებით არშეფასებული ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გარიგების ხარჯები.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან დაფინანსების კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ პრაქტიკული მიზნის მიღწევის საშუალება გამოიყენა, ფასს 15-ში განსაზღვრული გარიგების ფასით შეფასდება.

იმისთვის, რომ ფინანსური აქტივი ამორტიზებული ღირებულებით ან სხვა სრულ შემოსავალში ასახვის გზით რეალური ღირებულებით კლასიფიცირდეს და შეფასდეს, საჭიროა ისეთი ფულადი სახსრების მოძრაობა, როგორცაა მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდა. ასეთი შეფასება მოხსენიებულია, როგორც მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდების შემოწმება, რომელიც ინსტრუმენტის დონეზე ხორციელდება.

კომპანიის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელი ასახავს, თუ როგორ მართავს კომპანია თავის ფინანსურ აქტივებს ფულადი ნაკადების წარმოსაქმნელად. ბიზნესმოდელი განსაზღვრავს, ფულადი ნაკადები წარმოიქმნება სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების, ფინანსური აქტივების გაყიდვის თუ ორივეს შედეგად. ფინანსური აქტივების ყიდვა ან გაყიდვა, რაც ბაზარზე აქტივების რეგულაციით ან კონვენციით დადგენილ ვადებში მიწოდებას მოითხოვს (რეგულარული ვაჭრობა), ვაჭრობის თარიღით, ანუ, იმ თარიღით აღიარდება, როდესაც კომპანია აქტივის ყიდვას ან გაყიდვას განახორციელებს.

შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის, ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად კლასიფიცირდება:

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები (სავალო ინსტრუმენტები);

სხვა სრულ შემოსავალში ასახვის გზით რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები კუმულაციური მოგებისა და ზარალის გადამუშავებით (სავალო ინსტრუმენტები);

სხვა სრულ შემოსავალში ასახვის გზით რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, აღიარების შეწყვეტისას კუმულაციური მოგებისა და ზარალის გადამუშავების გარეშე (წილობრივი ფინანსური ინსტრუმენტები);

მოგებაში ან ზარალში ასახვის გზით რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები (სავალო ინსტრუმენტები)

ეს კატეგორია კომპანიისთვის ყველაზე რელევანტურია. კომპანია ფინანსური აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს, თუ ორივე ქვემოთ მითითებული პირობა დაკმაყოფილდება:

- ფინანსური აქტივის ფლობისთვის ისეთი ბიზნესმოდელია შერჩეული, რომლის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოქმნის ისეთ ფულად ნაკადებს, როგორცაა მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდა.

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის*(თანხები მოცემულია ათას ლარში)***3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)****ფინანსური აქტივები (გაგრძელება)**

ფინანსური აქტივი შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და გაუფასურებას ექვემდებარება. მოგება და ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, როდესაც აქტივის აღიარება გაუქმდება, შეიცვლება ან გაუფასურდება. კომპანიის ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სავაჭრო დებიტორულ დავალიანებას მოიცავს.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება არის საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას მომსახურების გაწევის ან საქონლის მიწოდების სანაცვლოდ კლიენტებისგან მიღებული თანხები. თუ თანხების მიღება ერთი წლის განმავლობაში ან უფრო ნაკლებ ვადაში (ან საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას, თუ უფრო ხანგრძლივია) არის მოსალოდნელი, ეს აქტივები მიმდინარე (მოკლევადიან) აქტივებად, წინააღმდეგ შემთხვევაში კი გრძელვადიან აქტივებად კლასიფიცირდება.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური აქტივის ნაწილის ან მსგავსი ფინანსური აქტივების კომპანიის ნაწილის) აღიარება თავდაპირველად წყდება (ანუ, კომპანიის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების პოზიციიდან იშლება) მაშინ, როდესაც:

- აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებებს ვადა გაუვა; ან
- კომპანია გაასხვისებს აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებას ან ვალდებულების გადაკისრების ხელშეკრულების ფარგლებში მიღებულ ფულად ნაკადებს სრულად, არსებითი დაგვიანების გარეშე, მესამე პირს გადაუხდის; და კომპანია (ა) ასევე გაასხვისებს აქტივის ფლობის ყველა რისკს და სარგებელს; ან (ბ) ფლობის ყველა რისკს და სარგებელს არც გაასხვისებს და არც შეინარჩუნებს, მაგრამ მათზე კონტროლს გაასხვისებს.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს აღიარებს მოგებაში ან ზარალში ასახული რეალური ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტების მიმართ. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეფუძნება ხელშეკრულების საფუძველზე გადასახდელ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებს შორის სხვაობას. მომავალში მისაღები ფულადი ნაკადები მოიცავს უზრუნველყოფის საგნის ან კრედიტის ხარისხის გაუმჯობესებისთვის წარდგენილი სხვა დამატებითი უზრუნველყოფის საგნის (რაც სახელშეკრულებო პირობების განუყოფელი ნაწილია) რეალიზაციის შედეგად მიღებულ ფულად ნაკადებს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება ორ ეტაპად ხდება. იმ საკრედიტო პოზიციებისთვის, რომელთა საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზარდია თავდაპირველი აღიარების შემდეგ, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი იქმნება მომდევნო 12 თვეში დეფოლტის შემთხვევით წარმოქმნილი საკრედიტო ზარალისთვის (12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი). იმ საკრედიტო პოზიციებისთვის, რომელთა საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი იქმნება საკრედიტო პოზიციის დარჩენილი არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის, დეფოლტის ხანგრძლივობის მიუხედავად (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი).

სავაჭრო დებიტორული დავალიანებისა და სახელშეკრულებო აქტივებისთვის, კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაანგარიშების განმარტივებულ მიდგომას. აქედან გამომდინარე, კომპანია საკრედიტო რისკში მიმდინარე ცვლილებებს თვალყურს არ ადევნებს, ის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ყოველი ანგარიშგების დღეს აღიარებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით. კომპანიამ შეიმუშავა საკრედიტო ზარალის ისტორიულ გამოცდილებაზე დაფუძნებული რეზერვის მატრიცა, რომელიც მორგებულია მის დებიტორებთან და ეკონომიკურ გარემოსთან დაკავშირებულ საპროგნოზო ფაქტორებზე.

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის*(თანხები მოცემულია ათას ლარში)***3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)****ფინანსური ვალდებულებები**

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც მოგებაში ან ზარალში ასახვის გზით რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები, სესხები, კრედიტორული დავალიანება, ან ჰეჯირების ინსტრუმენტებად განსაზღვრული წარმოებულები.

ყველა ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო სესხების და კრედიტორული დავალიანების შემთხვევაში, პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯების გამოკლებით.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას და სესხებს, საბანკო ოვერდრაფტების ჩათვლით.

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება მათ კლასიფიკაციაზე დამოკიდებული, როგორც ქვემოთ არის აღწერილი:

სესხები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტის სესხები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება ხდება ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის მომენტიდან, ასევე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით მიმდინარე ამორტიზაციის პროცესში. ამორტიზებული ღირებულება გამოითვლება შეძენის პროცესში მიღებული ნებისმიერი დანამატის ან ფასდაკლების, ასევე ყველა მოსაკრებლის და ხარჯის გათვალისწინებით, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ამორტიზაცია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღირიცხება როგორც ფინანსური ხარჯები. აღნიშნული კატეგორია ძირითადად პროცენტის სესხებს მიესადაგება.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულება შესრულება ან გაუქმდება ან მოქმედების ვადა დაუსრულება. როდესაც იგივე გამსესხებელი არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ახლით ჩაანაცვლებს მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ფინანსური ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარებად. შესაბამის საბალანსო ღირებულებებში სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები და გაქვითვასთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება სალაროს ნაღდი ფულის ნაშთისგან და ბანკებში არსებული ნაღდი ფულის ნაშთისგან, რომლებსაც აქვს განთავსებიდან სამი თვის ვადა, შეიძლება დაუყოვნებლივ კონვერტირება წინასწარ ცნობილ თანხებში და რომლებიც ექვემდებარება ღირებულების შეცვლის უმნიშვნელო რისკს და თავისუფლდება სახელშეკრულებო ვალდებულებებისაგან.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ანგარიშსწორებასთან დაკავშირებულ ნაღდი ფულის ნაშთს ბანკში, რომელიც ფიზიკური პირების მიერ სალაროების მეშვეობით გადახდილ და კომპანიის საბანკო ანგარიშზე განთავსებულ თანხებს წარმოადგენს იმ ბანკში, რომელიც დაკავშირებული მხარეა. ფიზიკური პირებისგან მიღებული ნაღდი ფული, ჩვეულებრივ, ყოველდღიურად გადაირიცხება კომპანიის საბანკო ანგარიშზე. პარალელურად, კომპანია გაქვითვასთან დაკავშირებული დავალიანებას აღიარებს. ფიზიკური პირების მიერ საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობისას, კომპანია თავის ანგარიშსწორებასთან დაკავშირებულ დავალიანებას და ნაღდი ფულის ნაშთს გაქვითავს იმ ბანკში, რომელიც დაკავშირებული მხარეა.

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის*(თანხები მოცემულია ათას ლარში)***3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)****მოკლევადიან და გრძელვადიან აქტივებად და ვალდებულებებად კლასიფიკაცია**

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათ მოკლევადიან და გრძელვადიან აქტივებად და ვალდებულებებად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- მისი რეალიზება მოსალოდნელია ან მისი გაყიდვა ან მოხმარება გადაწყვეტილია ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- მისი რეალიზება მოსალოდნელია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ შეზღუდული არ არის მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- დაფარვას დაექვემდებარება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

კომპანია ყველა დანარჩენ ვალდებულებას „გრძელვადიან ვალდებულებად“ თვლის. გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები გრძელვადიან აქტივებად და ვალდებულებებად ითვლება.

დაბეგვრა

ბანკების, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების გარდა, სხვა საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში (მე-15 შენიშვნა). მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე/პარტნიორებზე განაწილებული მოგება, რომლებიც საქართველოში მცხოვრები ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან, წმინდა განაწილების 15/85 განაკვეთით. დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი იმ პერიოდის ვალდებულებებსა და ხარჯებში აღირიცხება, როდესაც დივიდენდები გამოცხადდა, იმის მიუხედავად, თუ რა თარიღში ან რომელი პერიოდისთვის ხდება დივიდენდების გადახდა. კონკრეტულ გარემოებებში, შესაძლებელია გადასახდელი მოგების გადასახადში გამოქვითვების განხორციელება, რაც აღირიცხება შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებით მოგების გადასახადის ხარჯის შემცირების სახით. საქართველოს საგადასახადო სისტემის ბუნებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება არ წარმოემშობათ. კომპანიის პარტნიორებისთვის გასანაწილებელ დივიდენდებზე გადასახდელი გადასახადის დაკავების აღიარება კაპიტალიდან გამოქვითვის სახით ხდება კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებაში.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება მოგების განაწილებად ჩაითვალოს (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად აღირიცხება და მათი აღიარება სხვა საოპერაციო ხარჯების ნაწილში ხდება.

ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულებები აქვს წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, და ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და შესაძლებელია ვალდებულებების მოცულობის მისაღები სიზუსტით შეფასება.

პირობითი ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, თუმცა გაცხადდება, თუ ანგარიშსწორების მიზნით ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაბალი არ არის.

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის*(თანხები მოცემულია ათას ლარში)***3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)****ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)**

პირობითი აქტივი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, თუმცა გაცხადდება, თუ ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის ავტორიზებული საწესდებო კაპიტალი კომპანიის წესდებით განისაზღვრება. ავტორიზებული კაპიტალის საწესდებო კაპიტალად აღიარება ხდება კომპანიის საკუთარ კაპიტალში კომპანიის მფლობელების მიერ განხორციელებული შენატანების ოდენობით.

დივიდენდები

დივიდენდები აღიარდება, როგორც ვალდებულება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, როდესაც მათი გამოცხადება და დამტკიცება ხდება.

დებიტორული დავალიანება

დებიტორული დავალიანება თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. შემდგომ მათი აღრიცხვას ხდება მთავარი პრინციპების დირექტორული ექსპერტული საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, გაუფასურების გამოკლებით. გაუფასურება დებიტორულ დავალიანებაზე წარმოიშვება მაშინ, როდესაც არსობის ობიექტური რწმუნება იმის რომ, კომპანია ვერ შეძლებს თანხის მიღებას დებიტორის საწყისი ვადის შესაბამისად.

იჯარა

კომპანია აფასებს ხელშეკრულების დაწყებისას ხელშეკრულებას, არის თუ არა იგი მთლიანად იჯარა ან შეიცავს თუ არა იჯარას. ანუ, თუ ხელშეკრულება ითვალისწინებს იდენტიფიცირებული აქტივის სარგებლობის კონტროლის უფლებას პერიოდის განმავლობაში.

კომპანია როგორც მოიჯარე

კომპანია მიმართავს ერთიანი აღიარებისა და გაზომვის მიდგომას ყველა იჯარისთვის, გარდა მოკლევადიანი იჯარისა და დაბალი დირექტორული აქტივების. კომპანია აღიარებს საიჯარო ვალდებულებებს რათა მოახდინოს იჯარის გადასახდელები და აქტივის გამოყენების უფლება, რომელიც წარმოადგენს იდენტიფიცირებული აქტივზე უფლებას.

აქტივის გამოყენების უფლება

აქტივის გამოყენების უფლება აღიარდება საიჯარო ვადის დაწყების თარიღისთვის. აქტივის გამოყენების უფლების არღირიცხება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების საწყის თანხას, საჭიროების შემთხვევაში კორექტირებების გათვალისწინებით. აქტივის გამოყენების უფლება იცვითება წრფივი მეთოდის საფუძველზე, იჯარის პერიოდის ან აქტივის სავარაუდო სასარგებლო ვადის განმავლობაში, შემდეგნაირად:

- შენობა -----იჯარის ვადა.

აქტივის გამოყენების უფლება ექვემდებარება გაუფასურებას.

საიჯარო ვალდებულებები

საიჯარო ვალდებულება აღიარდება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის. საიჯარო ვალდებულების საწყისი აღიარება ხდება საიჯარო გადასახდელების დღევანდელ ღირებულებით, რომელთა გადახდა უნდა მოხდეს საიჯარო ვადის განმავლობაში, დადისკონტირებული იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, ხოლო თუ აღნიშნული განაკვეთის განსაზღვრა შეუძლებელია, კომპანიის ზღვრული საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. საიჯარო გადახდები, მოიცავს ფიქსირებულ გადასახადებს, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით; ინდექსებზე ან განაკვეთებზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს; თანხებს, რომლებიც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით; შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის*(თანხები მოცემულია ათას ლარში)***3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)****იჯარა (გაგრძელება)**

საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას და იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმების გადახდას. ცვლადი საიჯარო გადახდები რომელიც დამოკიდებული არ არის ინდექსებზე ან განაკვეთებზე აღიარდება ხარჯად, ხარჯის გაწევის პერიოდში.

მოკლევადიანი იჯარები

კომპანია იყენებს მოკლევადიანი იჯარის აღიარებიდან განთავისუფლებას, შენობების მოკლევადიან იჯარებზე (ის იჯარები, რომელიც ვადა იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის შეადგენს არანაკლებ 12 თვეს და არ მოიცავს საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლებას). საიჯარო გადახდები დაკავშირებული მოკლევადიან იჯარებთან აღიარდება ხარჯებში წრფივი მეთოდის საფუძველზე საიჯარო ვადის განმავლობაში.

კომპანია როგორც მემიჯარე

იჯარები, რომლებზეც კომპანია არ გადასაცემს საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ პარტიკულად ყველა რისკსა და სარგებელს, კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა. იჯარიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება წრფივი მეთოდის საფუძველზე საიჯარო ვადის განმავლობაში.

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება გადახდის ფაქტობრივი ღირებულებით, გამოკლებული გაუფასურება. საავანსო გადახდები კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდენლია, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურებები მიღებული იქნება ერთ წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდები უკავშირდება აქტივს, რომელიც თავად იქნება პირველადი აღიარებისას კლასიფიცირებული, როგორც გრძელვადიანი. აქტივების შესაძენი წინასწარი გადახდები გადადის აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც კომპანია მოიპოვებს აქტივზე კონტროლს ან მოსალოდენლია, რომ აქტივთან დაკავშირებულისამომავლო ეკონომიკური სარგებელიშევა კომპანიაში. სხვა საავანსო გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალში, როდესაც მიღებულია საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება. თუ არის იმის ინდიკატორები, რომსაავანსო გადახდებთან დაკავშირებული აქტივი, საქონელი და მომსახურება არიქნება მიღებული, საავანსო გადახდების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისად და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება-ზარალში.

არა-ფინანსური აქტივების გაუფასურება

არაფინანსური აქტივები, გარდა გადავადებული გადასახადებისა, შეფასებულია თითოეულ საანგარიშო პერიოდის ბოლოს გაუფასურებაზე. არაფინანსური აქტივების ანაზღაურებადი ღირებულება მეტია მის სამართლიან ღირებულებაზე შემცირებული გაყიდვების დანახარჯებით. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, შეფასებული სამომავლო ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათი დღევანდელი ღირებულებით. შეფასებული სამომავლო ფულადი ნაკადები დადისკონტირებულია მიმდინარე ღირებულებით დისკონტირების განაკვეთით გადასახადებამდე, რომელიც ასახავს ფულის დროით ღირებულებას მიმდინარე საბაზრო შეფასებაზე დაფუძნებით და აქტივის სპეციფიკურ რისკებს. გამოყენების ღირებულების შეფასებისას, მომავალი ფულადი ნაკადები შეფასებული არის ისეთი აქტივისთვის, რომელიც არ წარმოქმნის ფულადი სახსრების შემოდინებას, რომელიც დიდწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებისგან, ანაზღაურებადი თანხა განისაზღვრება ფულადი სახსრების წარმოქმნელი ერთეულით, რომელსაც აქტივი მიეკუთვნება. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც აქტივის ან მისი ფულადი სახსრების წარმოქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებულ რაოდენობას.

გაუფასურების ზარალი დაკავშირებული არა-ფინანსური აქტივებიდან აღიარდება მოგება ზარალში და შემორუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მოხადა ანაზღაურებადი ღირებულების შეფასების განსაზღვრაში ცვლილებები. გაუფასურების ზარალის შემოზღუდვა ხდება მხოლოდ თუ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება აღრიცხვის ღირებულებას, რომელიც დადგენილი იქნებოდა, ამორტიზაციის ან ამორტიზაციის გარეშე, თუ არ იქნა აღიარებული გაუფასურების ზარალი.

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის*(თანხები მოცემულია ათას ლარში)***3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)****შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან**

კომპანიის ბიზნესი მოიცავს მომხმარებლებისთვის სალაროების ან თვითმომსახურების ტერმინალების საშუალებით გადახდის მომსახურების გაწევას და თვითმომსახურების ტერმინალების ტექნიკურ მომსახურებას. კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან შემოსავლების აღიარება ხდება, როდესაც საქონლის ან მომსახურების კონტროლი მომხმარებელს გადაეცემა იმ ანაზღაურების შესაბამისი ოდენობით, რომელსაც კომპანია ელოდება ამ საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ. ჯგუფმა ზოგადად დაასკვნა, რომ ეს უმთავრესია თავისი შემოსავლების აღრიცხვაში.

ფასს 15 საწარმოებს ავალეს, რომ კლიენტებთან ხელშეკრულებების აღნიშნული მოდელის თითოეულ ეტაპზე გამოიყენონ საკუთარი განსჯა, ყველა დაკავშირებული ფაქტების და გარემოებების გათვალისწინებით. სტანდარტი ასევე განსაზღვრავს ხელშეკრულების მოპოვების ზღვრული ხარჯების და ხელშეკრულების შესრულებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯების აღრიცხვის წესს. ამასთან, სტანდარტი დამატებით მოითხოვს ვრცელ განმარტებით შენიშვნებს. კომპანია ნაადრევად გადავიდა ფასს 15-ზე - ამონაგები კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან - საწყისი გადასვლის თარიღად აღებულია 2016 წლის 1 იანვარი.

შემოსავლების აღიარებამდე, აუცილებელია ასევე აღიარების კონკრეტული კრიტერიუმების დაკმაყოფილება:

ტრანზაქციების დამუშავებებიდან მიღებული შემოსავალი

კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს ტრანზაქციების დამუშავებების მომსახურებას, რაც გულისხმობს ფიზიკური პირებისგან სალაროების მეშვეობით ფულადი სახსრების მიღებას მუნიციპალური ტრანსპორტის მომსახურებით სარგებლობისთვის. ტრანზაქციების დამუშავებებიდან შემოსავლის მიღება ხდება მომსახურების საფასურის სახით, რომელიც განისაზღვრება თითოეული ოპერაციისთვის, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურებით სარგებლობის საფუძველზე. ასეთი შემოსავლის აღიარება ხდება შესაბამისი ოპერაციის დასრულების ვალდებულების შესრულების შემდეგ.

სატრანსპორტო ბარათების გაყიდვიდან და ინიცირებიდან მიღებული საზღაური

კომპანია ყიდის და ინიცირებს უკეთეს არაპერსონალიზებულ სატრანსპორტო ბარათებს ფიზიკური პირებისთვის, რომლის ღირებულებაც ფიქსირებულია და დამტკიცებულია მუნიციპალური ორგანოების მიერ. სატრანსპორტო ბარათების გაყიდვიდან და ინიცირებიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება ამ ბარათების გაყიდვისას, რადგან კომპანიას არ გააჩნია შესასრულებელი ვალდებულება გარდა საზოგადოებრივი ტრანსპორტის გადახდის სისტემისთვის სატრანსპორტო ბარათების გაყიდვის და ინიცირების ვალდებულებისა. სატრანსპორტო ბარათების გაყიდვიდან და ინიცირებიდან მიღებული საზღაური წარმოადგენს შესაბამის შემოსავალს პლასტიკური ბარათების ღირებულების გამოკლებით, ვინაიდან კომპანია საკუთარ საქმიანობას აფასებს, როგორც აგენტის საქმიანობას მსგავს ოპერაციებში (იხ. მე-4 შენიშვნა).

დაფინანსების მნიშვნელოვანი კომპონენტი

კომპანია მისი მთავარი მომხმარებლისაგან იღებს საავანსო გადახდებს თბილისის საზოგადოებრივი ტრანსპორტის გადახდის სისტემის ფუნქციონირებისათვის. მიღებული ავანსის თანხის რაოდენობის, მომსახურების გაწევის პერიოდისა და ბაზარზე არსებული საპროცენტო განაკვეთის გათვალისწინებით სახეზეა მნიშვნელოვანი დაფინანსების კომპონენტის არსებობა. გამომდინარე აქედან, წინასწარ მიღებული ავანსების დისკონტირება მოხდება ავანსის მიღების დღეს არსებული საბაზრო განაკვეთის მეშვეობით.

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის*(თანხები მოცემულია ათას ლარში)***3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)****ხელფასები და თანამშრომელთა სარგებელი**

ხელფასები, მომსახურეთა სარგებები, ანაზღაურებადი წლიური შვებულება და ბიულეტენის ანაზღაურება, პრემიები და არაფულადი გასამრჯელოები აღირიცხება იმავე წელს როდესაც სავაჭირბუღალტრული მომსახურება გაიწევა თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ აქვს იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება რომ მოახდინოს საპენსიო ამ სგავსი ბენეფიტების გადახდა. კომპანიას არ აქვს საპენსიო შეთანხმებები, რომლებიც განცალკევებულია საქართველოს სახელმწიფო საპენსიო სისტემისგან.

ახალი სტანდარტები ინტერპრეტაციები და შესწორებები

ახალი და შესწორებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები ეფექტურია 2019 წლის 1 იანვრის ან მას შემდეგ დაწყებული ყოველწლიური პერიოდებისთვის, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი. კომპანიამ დანერგა ყველა ახალი და შესწორებული სტანდარტი და სტანდარტების საჭირო – ის მიერ გაცემული ინტერპრეტაციები, რომლებიც სავალდებულოა მიმდინარე საანგარიშო პერიოდისთვის.

კომპანიას არ ამიულია სტანდარტები, ინტერპრეტაციები და დამატებები, რომელიც არის გამოცემული, თუმცა ჯერ არ არის ძალაში შესული.

ამ ფინანსურ ანგარიშგებაში, კომპანიამ პირველად დანერგა ფასს-16 იჯარა. 2019 წელს პირველად გამოიყენება რამდენიმე სხვა ცვლილება და ინტერპრეტაცია, მაგრამ გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 16 იჯარები

ფასს (IFRS) 16 გამოიცა 2016 წლის იანვარში და ჩანაცვლებს ბასს (IAS) 17-ს „იჯარა“, ფასს (IFRIC) 4-ს „როგორ განესაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ (SIC) 15-ს „საოპერაციო იჯარა – სტიმულირება“ და იმკ (SIC) 27-ს „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“. ფასს-16 მოიცავს ყველა ტიპის იჯარას გარკვეული გამოწვევებით. იჯარა განისაზღვრება როგორც ხელშეკრულება, ან ხელშეკრულების ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს აქტივის (ძირითადი აქტივების) გამოყენების უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში. ფასს (IFRS) 16-ში მოცემულია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების ის პრინციპები და მოიჯარისგან მოითხოვს ყველა იჯარის აღრიცხვას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ბასს (IAS) 17-ის მიხედვით ფინანსური იჯარის აღრიცხვის ანალოგიურად. სტანდარტი ითვალისწინებს აღიარების ორ გამოწვევას: მოიჯარეებისთვის – „დაბალი ღირებულების მქონე“ აქტივების (მაგ. პერსონალური კომპიუტერები) იჯარა და მოკლევადიანი იჯარა (ე. ი. იჯარა 12-თვიანი ან ნაკლები ვადით). საიჯარო ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს ვალდებულებას საიჯარო გადასახადის გადახდის თაობაზე (ე. ი. საიჯარო ვალდებულება) და აქტივს, რომელიც წარმოადგენს უფლებას შესაბამისი აქტივის გამოყენებაზე იჯარის ვადის განმავლობაში (ე. ი. აქტივის გამოყენების უფლება). მოიჯარეები ვალდებულნი არიან ცალკე აღიარონ საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების სამორტიზაციო ხარჯი. მოიჯარის აღრიცხვა ფასს 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს 17-ის თანახმად არსებული მეიჯარე გააგრძელებს ყველა იჯარის კლასიფიცირებას იმავე პრინციპით, როგორც ბასს 17-ის მიხედვით და გამოიჯანავს ორი ტიპის იჯარას: საოპერაციოს და ფინანსურს.

თავდაპირველი აღიარების თარიღისთვის 2019 წლის 1 იანვრის კომპანიამ ფასს-16 დანერგვისთვის გამოიყენა მოდიფიცირებული რეტროსპექტული მეთოდი. აღნიშნული მეთოდის თანახმად, სტანდარტი გამოყენებულია რეტროსპექტულად, ამ სტანდარტის პირველად გამოყენებით გამოწვეული კუმულაციური ეფექტის აღიარებით თავდაპირველი გამოყენების თარიღით. კომპანიამ გარდამავალი პრაქტიკული მიზანშეწონილობისთვის აირჩია არ შეეფასებინა არის თუ არა ხელშეკრულება საიჯარო ხელშეკრულება და მოიცავს თუ არა ის იჯარას 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. ამის ნაცვლად, კომპანიამ გამოიყენა სტანდარტი მხოლოდ იმ ხელშეკრულებებზე, რომელიც ადრე იყო იდენტიფიცირებული, როგორც იჯარა, რომელზეც ვრცელდებოდა ბასს-17 და ფასს-4, თავდაპირველი აღიარების პერიოდში.

ფასს 16-ის დანერგვამდა კომპანიამ თითოეული იჯარა დააკლასიფიცირა როგორც საოპერაციო იჯარა საწყისი თარიღიდან. სტანდარტი ითვალისწინებს გადასვლის სპეციფიკურ მოთხოვნებს და პრაქტიკულ მიზანშეწონილობას, რომელიც გამოყენებულია კომპანიის მიერ. კომპანიამ აღიარა აქტივის გამოყენების

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის*(თანხები მოცემულია ათას ლარში)***3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)****ახალი სტანდარტები ინტერპრეტაციები და შესწორებები (გაგრძელება)**

უფლება და საიჯარო ვალდებულებები იმ იჯარებისთვის, რომლებიც ადრე იყო კლასიფიცირებული, როგორც საოპერაციო იჯარა, გარდა მოკლევადიანი იჯარებისა და დაბალი ღირებულების აქტივების გარდა. აქტივის გამოყენების უფლება აღიარებულ იქნა საიჯარო ვალდებულების ტოლი თანხით, კორექტირებული ნიბისმიერი წინასწარ გადახდილი და დარიცხული საიჯარო გადასახდელებით რომლებიც აღიარებული იყო წინა პერიოდში. საიჯარო ვალდებულებები აღიარებულ იქნა დარჩენილი სამომავლო საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, დადისკონტირებული თავდაპირველი აღიარების დღეს არსებული ზღვრული საპროცენტო განაკვეთით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2019 წლის 1 იანვრისთვის:

- აქტივის გამოყენების უფლება 333 ათასი ლარით აღიარებულ და წარმოდგენილ იქნა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში;
- საიჯარო ვალდებულებები 333 ათასი ლარით აღიარებულ იქნა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ფასს 16-ის დანერგვას კომპანიაში არანაირი გავლენა არ ჰქონია გაუნაწილებელ მოგებაზე.

კომპანიამ აგრეთვე აირჩია გამოიყენოს აღიარებიდან განთავისუფლება იმ საიჯარო ხელშეკრულებებზე, რომელთაც საიჯარო ვადის დაწყების დღეს იჯარის ვადა მოიცავს 12 თვეს ან ნაკლებ ვადას და არ მოიცავს შესყიდვის არჩევანის უფლებას (მოკლევადიანი იჯარა).

საიჯარო ვადის თავდაპირველ პერიოდში ხარჯები დაკავშირებული იჯარასთან ფასს 16-ის მიხედვით იქნება მაღალი ვიდრე ხარჯები ბასს 17-ით დაანგარიშებული საიჯარო ხარჯებთან. ამასთან EBITDA (მოგება პროცენტის, საგადასახადო, ცვეთის და ამორტიზაციამდე) შედეგების გაუმჯობესება ხდება, გამომდინარე იქედან რომ საოპერაციო ხარჯი ჩანაცვლდა საპროცენტო ხარჯით და ცვეთით მოგება ზარალში. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების კლასიფიკაციისთვის, პროცენტის ნაწილი წარმოდგენილია საოპერაციო საქმიანობაში და საიჯარო გადახდების ძირი განცალკევებულად წარმოდგენილია ფინანსურ საქმიანობაში.

ფასს 9 – ში შეტანილი ცვლილებები: წინასწარი გადახდის მახასიათებლები უარყოფითი კომპენსაციით

ფასს-9-ის თანახმად, სესხის ინსტრუმენტი შეიძლება შეფასდეს ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იმ პირობით, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები არის „მხოლოდ ძირითადი თანხის გადახდა და პროცენტის“ (SPPI-ის კრიტერიუმში) და ფინანსური ინსტრუმენტი აღიარდება ბიზნეს მოდელის კლასიფიკაციის შესაბამისად. ფასს 9-ში შეტანილი ცვლილებებით განმარტებულია, რომ ფინანსური აქტივი გადადის SPPI კრიტერიუმს, მიუხედავად მოვლენის ან გარემოების შესახებ, რომელიც იწვევს ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტას და იმის და მიუხედავად, თუ რომელი მხარე იხდის ან იღებს გონივრულ ანაზღაურებას ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტისათვის.

ამ ცვლილებებმა გავლენა არ მოახდინა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ბასს 19-ში: გეგმის ცვლილება, შემცირება და ანგარიშსწორება

ბასს 19-ში შეტანილი ცვლილებები ეხება აღრიცხვას, როდესაც გეგმის ცვლილება, შემცირება ან ანგარიშსწორება მოხდება საანგარიშო პერიოდში. ცვლილებებში მითითებულია, რომ როდესაც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გეგმის ცვლილება, შემცირება ან ანგარიშსწორება ხდება, ერთეულს მოეთხოვება განსაზღვროს მიმდინარე მომსახურების ღირებულება გეგმის ცვლილების, შემცირების ან ანგარიშსწორების შემდეგ პერიოდის დარჩენილი პერიოდისთვის, გამოყენებული აქტუალური ვარაუდების გამოყენებით. განმეორებით განსაზღვრეთ სარგებლიანი ვალდებულების (აქტივობის) განზომილება, რომელიც ასახავს ამ ღონისძიების შემდეგ გეგმით გათვალისწინებულ შეღავათებს და

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის*(თანხები მოცემულია ათას ლარში)***3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)****ახალი სტანდარტები ინტერპრეტაციები და შესწორებები (გაგრძელება)**

გეგმის აქტივებს. სუბიექტი ასევე ვალდებულია დაადგინოს გეგმის ცვლილების, შემცირების ან ანგარიშსწორების შემდეგ დარჩენილი პერიოდის წმინდა პროცენტი, განსაზღვრული სარგებლიანი ვალდებულების (აქტივის) გამოყენებით, რომელიც ასახავს შეთავაზებულ სარგებელს და გეგმის აქტივებს ამ მოვლენის შემდეგ, და ფასდაკლებით განაკვეთი გამოიყენება განსაზღვრული სარგებლიანი ვალდებულების (აქტივის) განმეორების მიზნით.

ცვლილებებმა გავლენა ვერ მოახდინა ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე, რადგან ამ პერიოდში მას არ ჰქონდა რაიმე გეგმის ცვლილებები, შემცირებები ან ანგარიშსწორება.

4. გამოცემული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც არის გამოცემული, მაგრამ ჯერ არ არ შესულა ძალაში კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნებამდე მოცემულია ქვემოთ. კომპანია აპირებს მიიღოს აღნიშნული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, საჭიროების შემთხვევაში, როდესაც ისინი ძალაში შევა.

ცვლილებები ბასს 1-ში და ბასს 8-ში: მატერიალურობის განმარტება

2018 წლის ოქტომბერში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემულ იქნა ცვლილებები ბასს 1 „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ და ბასს 8 „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“, რომელიც ეხება მატერიალურობის განმარტების გათანაბრებას სტანდარტებს შორის და განმარტების გარკვეული ასპექტების გარკვევას. ახალი განმარტებით აღნიშნულია რომ, ' ინფორმაცია არის არსებითი თუ მისი გამოტოვება, არასწორად აღნიშვნა ან დამალვა(დაფარვა) ქმნის ალბათობას რომ ფინანსური ანგარიშგებების იმ უპირველეს მომხმარებლებზე გადაწყვეტილებების მიღებისას იქონიებს გავლენას, რომლებიც იძლევიან ფინანსურ ინფორმაციას კონკრეტულ საანგარიშგებო პირზე.

ცვლილებები მატერიალურობის განმარტებასთან დაკავშირებით მოსალოდნელია რომ აქ ექნება გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო დაშვებები და პროგნოზები

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად საჭირო გახდა გარკვეული შეფასებების და დაშვებების გამოყენება. ეს შეფასებები და დაშვებები გავლენას ახდენს აქტივებისა და ვალდებულებების, ასევე პირობითი ვალდებულების გამოცხადებულ ოდენობებზე საანგარიშგებო თარიღისთვის ისევე, როგორც გამოცხადებული შემოსავლისა და ხარჯის ოდენობაზე ანგარიშგების პერიოდისთვის. მიუხედავად იმისა, რომ შეფასებები ეყრდნობა ხელმძღვანელობის ინფორმირებულობას და ანგარიშგების თარიღისთვის არსებული მოვლენების ანალიზს, ისინი შეიძლება ზუსტად არ ასახავდეს რეალობას.

ქვემოთ წარმოდგენილია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გატარების პროცესში ხელმძღვანელობის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომელიც ყველაზე მეტად მოქმედებს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე:

სატრანსპორტო ბარათების გაყიდვიდან და ინიცირებიდან მიღებული საზღაურის აღიარება და წარდგენა

კომპანია ყიდის და ინიცირებას უკეთებს არაპერსონალიზებულ სატრანსპორტო ბარათებს ფიზიკური პირებისთვის, რომლის ღირებულებაც ფიქსირებულია და დამტკიცებულია მუნიციპალური ორგანოების მიერ. თავად სატრანსპორტო ბარათი წარმოადგენს გადახდის უფრო მოსახერხებელ საშუალებას, რომელიც გამიზნულია მხოლოდ საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურებით სარგებლობისთვის.

კომპანიის შეფასებით, იგი ხელს უწყობს სატრანსპორტო ბარათების გაყიდვასა და ინიცირებას და, შესაბამისად, მიაჩნია, რომ მის შესასრულებელ ვალდებულებას წარმოადგენს სატრანსპორტო ბარათების ფიზიკურ პირებზე გაყიდვისა და ინიცირების უზრუნველყოფა, რასაც კომპანია სათანადოდ

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო დაშვებები და პროგნოზი (გაგრძელება)

აკმაყოფილებს დროის კონკრეტულ მონაკვეთებში. კომპანია თავის მომხმარებლებს გადასცემს უფლებას, მომავალში გადაიხადონ საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობის საფასური სატრანსპორტო ბარათების მეშვეობით და პასუხისმგებელი არ არის სატრანსპორტო მომსახურების მიწოდების პირობის შესრულებაზე. ამასთან, კომპანიას არ აქვს უფლება, დააწესოს სატრანსპორტო ბარათების ფასი, რადგან ის ყიდის ბარათებს ფიქსირებულ ფასად, რომელიც დამტკიცებულია მუნიციპალური ორგანოების მიერ. კომპანიას გააჩნია მხოლოდ სასაქონლო-მატერიალური მარაგების რისკი, რაც პლასტიკური ბარათების ღირებულებით შემოიფარგლება.

ზემოთ განხილული მაჩვენებლის გათვალისწინებით, კომპანია თავის საქმიანობას აფასებს, როგორც აგენტის ქმედებებს მსგავს ოპერაციებში და აღიარებს სატრანსპორტო ბარათების გაყიდვიდან და ინიცირებიდან მიღებულ შემოსავალს დროის კონკრეტულ მონაკვეთებში შესაბამისი პლასტიკური ბარათების ღირებულების გამოკლებით.

6. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2019 წლის და 2018 წლის 31 დეკემბერს არის შემდეგი:

	აღჭურვ. და სათადარ. ნაწილები	ავეჯი და მოწყობილო ზები	კომპიუტ. ტექნიკა და საოფისე აღჭურვ.	სატრანსპ. საშუალებებ ი	ოჯ. აღებული ქონების კეთილმოწ.	სხვა აღჭურვილო ბა	სულ
თვითღირებულება							
2017 წლის 31 დეკემბერი	1,900	56	278	39	79	300	2,652
შემოსვლები	26	24	461	44	31	9,738	10,324
გასვლები	(703)	-	-	(20)	-	-	(723)
შიდა	320	-	-	-	-	(320)	-
გადაადგილება ჩამოწერა	(183)	-	(18)	3	-	-	(198)
2018 წლის 31 დეკემბერი	1,360	80	721	66	110	9,718	12,055
შემოსვლები	73	22	589	74	78	7,271	8,107
გასვლები	-	(4)	-	-	-	-	(4)
შიდა	-	1,374	196	-	-	(1,570)	-
გადაადგილება ჩამოწერა	(201)	(1)	(10)	-	-	-	(212)
2019 წლის 31 დეკემბერი	1,232	1,471	1,496	140	188	15,419	19,946
დარიცხული ცვეთა და გაუფასურება							
2017 წლის 31 დეკემბერი	549	10	70	7	8	2	646
ცვეთის ხარჯი	314	11	67	12	13	3	420
გასვლები	(149)	-	-	(10)	-	-	(159)
ჩამოწერა	(183)	-	(18)	3	-	-	(198)
2018 წლის 31 დეკემბერი	531	21	119	12	21	5	709
ცვეთის ხარჯი	195	86	174	21	22	591	1,089
გასვლები	-	(1)	-	-	-	-	(1)
ჩამოწერა	(201)	(1)	(10)	-	-	-	(212)
2019 წლის 31 დეკემბერი	525	105	283	33	43	596	1,585
წმინდა საბალანსო ღირებულება:							
2017 წლის 31 დეკემბერი	1,351	46	208	32	71	298	2,006
2018 წლის 31 დეკემბერი	829	59	602	54	89	9,713	11,346
2019 წლის 31 დეკემბერი	707	1,366	1,213	107	145	14,823	18,361

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

7. მარაგები

მარაგები 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს შემდეგს:

	<u>2019</u>	<u>2018</u>
პლასტიკური სატრანსპორტო ბარათები	119	133
სხვა	348	94
სულ მარაგები	<u>467</u>	<u>227</u>

8. საავანსო გადახდები და სხვა მოკლევადიანი აქტივები

საავანსო გადახდები და სხვა მოკლევადიანი აქტივები 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს შემდეგს:

	<u>2019</u>	<u>2018</u>
საგადასახადო მოთხოვნები	65	88
ქირისა და სხვა მომსახურებისთვის გადახდილი ავანსები	128	63
მატერიალურ-საწარმოო მარაგებზე გადახდილი ავანსები	64	76
სულ გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	<u>257</u>	<u>227</u>

9. დებიტორული დავალიანება

დებიტორული დავალიანება 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს შემდეგს:

	<u>2019</u>	<u>2018</u>
მოთხოვნები დაკავშირებული მხარეების მიმართ (მე-19 შენიშვნა)	248	465
სხვა მოთხოვნები	305	351
	553	816
გამოკლებული - გაუფასურების რეზერვი	(111)	(114)
სულ დებიტორული დავალიანება, წმინდა	<u>442</u>	<u>702</u>

2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ზემოთ წარმოდგენილი საბალანსო ღირებულებები ზომიერად მიახლოებულია მათ რეალურ ღირებულებებთან. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 111 ლარის თავდაპირველი საბალანსო ღირებულების დებიტორული დავალიანება გაუფასურდა და სრულად გათვალისწინებულია. გადახდის ვადები 5-დან 25 კალენდარულ დღემდე მერყეობს.

10. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს შემდეგს:

	<u>2019</u>	<u>2018</u>
იმ ბანკში განთავსებული გაქვითვასთან დაკავშირებული ფულადი სახსრები, რომელიც დაკავშირებული მხარეა (მე-19 შენიშვნა)	326	2,596
იმ ბანკში განთავსებული ფულადი სახსრები, რომელიც დაკავშირებული მხარეა (მე-19 შენიშვნა)	3,169	2,433
ნაღდი ფულის ნაშთი სალაროში	113	105
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	<u>3,608</u>	<u>5,134</u>

საბანკო ანგარიშზე განთავსებულ ნაღდ ფულს ერიცხება საპროცენტო შემოსავალი. საპროცენტო განაკვეთი ცვალებადია და დამოკიდებულია ბანკის დეპოზიტების დღიურ განაკვეთებზე. კომპანიის ხელმძღვანელობა არ მოელოდა რაიმე სახის ზარალს იმ ბანკების ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, სადაც ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტებია განთავსებული. ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების საბალანსო და რეალური ღირებულებები არსებითად არ განსხვავდება.

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

11. კაპიტალი

2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას სრულად ჰქონდა შეტანილი 2,850 ლარის ღირებულების საწესდებო კაპიტალი. 2019-2018 წლებში დივიდენდები არ გაცხადებულა და არც განაწილებულა. კომპანიას არ გააჩნია კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა.

12. კრედიტორული დავალიანება

კრედიტორული დავალიანება 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს შემდეგს:

	2019	2018
გაქვითვასთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება	475	3,188
კრედიტორული ანგარიშები საოპერაციო იჯარაზე	246	183
თანამშრომელთა კომპენსაციის დანარიცხები	108	158
კრედიტორული დავალიანება დაკავშირებული მხარეების მიმართ (მე-19 შენიშვნა)	-	59
კრედიტორული დავალიანება ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებზე	11	10
სხვა კრედიტორული დავალიანება	16	66
სულ კრედიტორული დავალიანება	856	3,664

გაქვითვასთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება ფიზიკური პირებისგან ავანსად მიღებულ თანხებს წარმოადგენს, რომელთა ანგარიშსწორება მოხდება ამ პირების მიერ სატრანსპორტო მომსახურებით სარგებლობის შემდეგ.

2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ზემოთ წარმოდგენილი საბალანსო ღირებულებები ზომიერად მიახლოებულია მათ რეალურ ღირებულებებთან.

13. იჯარები

კომპანია როგორც მოიჯარე

კომპანიის საიჯარო კონტრაქტები გაფორმებულია შენობებზე, რომელსაც იყენებს საოპერაციო საქმიანობებში. საიჯარო ვადები მერყეობს 1-5 წლამდე პერიოდებს შორის.

კომპანიას აგრეთვე აქვს ისეთი საიჯარო კონტრაქტები, რომლის საიჯარო ვადა 12 თვეზე ნაკლებია, ამიტომ ასეთ შემთხვევაში იგი მიმართავს აღიარების გათავისუფლებას როგორც მოკლევადიანი იჯარა ფასს 16 - ის მიხედვით.

ქვემოთ მოცემულია აღიარებული აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულებები და მოძრაობები პერიოდის განმავლობაში:

	შენობები
თვითღირებულება :	
ფასს 16-ის ეფექტი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	333
დამატებები	377
გასვლები	(236)
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	474
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება:	
2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	
ცვეთის ხარჯი	171
გასვლები	(99)
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	72
საბალანსო ღირებულება:	
2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	333
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	402

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის*(თანხები მოცემულია ათას ლარში)***13. იჯარები (გაგრძელება)**

ქვემოთ მოცემულია აღიარებული საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები და მოძრაობები პერიოდის განმავლობაში:

	2019
ფასს 16 - ის ეფექტი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	333
დამატებები	377
გასვლები	(138)
დარიცხული საპროცენტო ხარჯი	20
გადაფასების ეფექტი	2
გადახდები	(196)
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	398

მოძრაობა მოგება-ზარალში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019
აქტივის გამოყენების უფლების ცვეთის ხარჯი	171
საიჯარო ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	20
მოკლევადიან იჯარებთან დაკავშირებული ხარჯები	20
სულ მოგება-ზარალში აღიარებული მოცულობა	211

კომპანიას მთლიანი ფულადი ნაკადები გასვლა დაკავშირებული იჯარებთან ჰქონდა 196 ლარი 2019 წლის განმავლობაში. კომპანიას ჰქონდა არგეთვე არაფულადი დამატებები აქტივის გამოყენების უფლების და საიჯარო ვალდებულებების სახით 333 ლარით 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

ფასს 16 -ის მიხედვით აღიარებისაგან გათავისუფლებული საიჯარო კონტრაქტების შესაბამისი საიჯარო ხარჯები მოცემულია მე-15 განმარტებითი შენიშვნის მუხლში: „იჯარის მსგავსი მომსახურება განუსაზღვრელი სივრცით ან არარსებული ხელშეკრულებით“, ხოლო აქტივის გამოყენების უფლების ამორტიზაცია კი სრული შემოსავლის ანგარიშგების მუხლ „ცვეთა და ამორტიზაციაში“.

14. შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

კომპანია თავის მომხმარებლებს სთავაზობს ტრანზაქციების დამუშავებების მომსახურებას. კომპანიის შეფასებით მომსახურების მოთხოვნა კმაყოფილდება დროთა განმავლობაში, თუ მომხმარებელი ერთდროულად იღებს და მოიხმარს კომპანიისგან მიღებულ სარგებელს.

2017 წლის 15 სექტემბერს სს „საქართველოს ბანკმა“, კომპანიის მომსახურების დაკავშირებულმა მხარემ, ხელი მოაწერა ხელშეკრულებას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან, რომლითაც მიიღო თბილისის საზოგადოებრივი ტრანსპორტის გადახდის სისტემის ოპერირების ექსკლუზიური უფლება. ხელშეკრულების შესაბამისად, სს „საქართველოს ბანკი“ კვლავ მომსახურების ერთადერთი მიწოდებელი იქნება საზოგადოებრივი ტრანსპორტის ქსელის გადახდის დამხმარე მომსახურებების მიწოდების თვალსაზრისით და მომდევნო ათი წლის განმავლობაში საცალო ფილიალებს ამუშავებს თბილისის მეტროს სადგურებში. სს „საქართველოს ბანკი“ თანამედროვე გადახდის სისტემას დაწერგავს თბილისის საზოგადოებრივი ტრანსპორტის ქსელისთვის, რაც მოიცავს გადახდის დამუშავებას Visa და MasterCard ბარათების საშუალებით, და ციფრულ პლატფორმას შექმნის მობილური აპლიკაციებით ბილეთების დაჯავშნისა და ყიდვისთვის.

2018 წლის თებერვალში „საქართველოს ბანკმა“ და კომპანიამ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც კომპანია ქვეკონტრაქტორის სახით იმოქმედებს და პასუხისმგებელი იქნება თბილისში საზოგადოებრივი ტრანსპორტის გადახდის სისტემის მუშაობაზე განახლებული ათწლიანი პერიოდის განმავლობაში, რომლის ათვლა 2018 წლის ოქტომბრიდან დაიწყო.

ტრანზაქციების დამუშავებიდან და დისპეჩერიზაციის მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი მოიცავს საპროცენტო შემოსავალს მიღებული იმ ხელშეკრულებებიდან, რომლებიც მოიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტებს ღირებულებით 1,082 ლარი (2018: 524 ლარი).

სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები

კომპანიამ აღიარა შემოსავალთან დაკავშირებული შემდეგი სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები:

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

14. შემოსავალი მომხარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან (გაგრძელება)

	2019	2018
დებიტორული დავალიანება	442	651
მიღებული ავანსები (გრძელვადიანი და მოკლევადიანი)*	16,450	8,652

*მიღებული ავანსების ზრდა, პირველ რიგში, განპირობებულია მომდევნო ათი წლის განმავლობაში საზოგადოებრივი ტრანსპორტის გადახდის სისტემის და ფლოტის მართვის მომსახურებისთვის იმ ბანკიდან მიღებული ავანსებით, რომელიც მომსახურების დაკავშირებული მხარეა.

დებიტორული დავალიანების აღიარება ხორციელდება მაშინ, როდესაც ანაზღაურებაზე უფლება უპირობო ხდება.

კომპანია იყენებს ფასს 15.121-ით გათვალისწინებულ პრაქტიკულ მეთოდს და არ წარადგენს განმარტებით შენიშვნებს შესასრულებელ ვალდებულებებზე განაწილებული ოპერაციის ღირებულების დაუკმაყოფილებელ დაგროვილ ოდენობაზე, რადგან კომპანიას უფლება აქვს მომხმარებლისგან მიიღოს იმ ოდენობის საზღაური, რომელიც პირდაპირ შეესაბამება კომპანიის მიერ კონკრეტული თარიღისთვის მომხმარებლის მიმართ შესრულებული ვალდებულებების ღირებულებას, ან რადგან ძირითადი ხელშეკრულებების თავდაპირველად განსაზღვრული მოსალოდნელი ხარგრძლივობა ერთ წელზე ნაკლებია.

15. სხვა საოპერაციო შემოსავალი და ხარჯი

	2019	2018
შემოსავალი ბილეთების შემმოწმებელი სისტემის საინსტალაციო სამუშაოებიდან	1,321	956
ურთიერთდაკავშირების საფასური	343	19
საიჯარო შემოსავალი	137	-
სულ სხვა საოპერაციო შემოსავალი	1,801	975
ოჯარის მსგავსი მომსახურება განუსაზღვრელი სივრცით ან არარსებულ ხელშეკრულებით	(1,194)	-
რემონტი და ტექნომსახურება	(459)	(423)
საოპერაციო გადასახადები	(306)	(229)
საკომუნიკაციო ქსელი	(266)	(156)
საკომისიო	(186)	(164)
საკანცელარიო ნივთები, მასალები და მარაგები	(76)	(102)
პროფესიული მომსახურება	(65)	(72)
აუდიტის ხარჯები	(12)	(35)
მოკლევადიან იჯარასთან დაკავშირებული ხარჯები	(20)	-
თბილისის მერიისთვის გადაცემული აქტივების ღირებულება	-	(409)
გაუფასურება (დატვირთვა) / ანულირება დებიტორული დავალიანება	9	(91)
სხვა საოპერაციო ხარჯი	(764)	(376)
სულ სხვა საოპერაციო ხარჯი	(3,339)	(2,057)

16. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

	2019	2018
ხელფასები და სხვა სარგებელი	3,717	2,856
ფულადი პრემიები	254	188
სულ ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	3,971	3,044

17. დაბეგვრა

2016 წლის ივნისში, საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის*(თანხები მოცემულია ათას ლარში)***17. დაბეგვრა (გაგრძელება)**

ორგანიზაციებისა, რომლებსაც ძალაში შესვლის თარიღი 2019 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე/პარტნიორებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან საქართველოში მცხოვრები ფიზიკური პირები ან არარეზიდენტი პირები, და არა მიღებული მოგება. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა იანგარიშება განაწილებული წმინდა თანხიდან, 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება აქვთ ჩაითვალოს 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტის მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ იბეგრება მოგების გადასახადით.

ცვლილებების ამოქმედების შემდეგ, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ მთლიანად გააუქმა თავისი გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ბასს 12-ის („მოგებიდან გადასახადები“) შესაბამისად, რათა გადავადებული გადასახადები 0%-იანი საგადასახადო განაკვეთით შეაფასოს, რომელიც გაუნაწილებელ მოგებაზე მოქმედებს 2017 წლის 1 იანვრიდან.

2019 წელს კომპანიას მოგება (დივიდენდები) არ გაუნაწილებია.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანია არსებითად აკმაყოფილებს იმ საგადასახადო კანონებს, რომლებიც მის საქმიანობას ეხება. ამის მიუხედავად, მაინც არსებობს იმის რისკი, რომ შესაბამისმა ორგანოებმა ამა თუ იმ კანონის სხვაგვარი ინტერპრეტაცია მოახდინონ.

18. ფინანსური ინსტრუმენტებისათვის დამახასიათებელი რისკები

კომპანიაში არსებული რისკების მართვა ხორციელდება ფინანსური რისკების, საოპერაციო რისკების და იურიდიული რისკების გათვალისწინებით. ჩვეული საქმიანობის განმავლობაში კომპანია ექვემდებარება საკრედიტო, ლიკვიდობის და საბაზრო რისკებს. ფინანსური რისკების მართვის ძირითადი მიზნებია რისკის ლიმიტების დადგენა, შემდეგ კი უზრუნველყოფა, რომ რისკების მოცულობა შეესაბამება აღნიშნულ ლიმიტებს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები მიზნად ისახავს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორად ფუნქციონირებას, საოპერაციო და სამართლებრივი რისკების შემცირების მიზნით.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანიამ შესაძლოა განიცადოს ზარალი, თუ მისი მომხმარებლები, კლიენტები ან მონაწილე მხარეები ვერ შეძლებენ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებას. 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას არ აქვს საკრედიტო რისკის მქონე სხვა მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივები, გარდა შემდეგისა:

- **ნაღდი ფულის ნაშთი ბანკებში**

2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ 3,494 ლარი და 5,030 ლარი განათავსა ბანკში, რომელიც დაკავშირებული მხარეა და რომელსაც Standard & Poor's კომპანიისგან მინიჭებული აქვს BB-/B რეიტინგი, Moody's კომპანიისგან - B1/NP (FC) & „Ba3/NP (LC) რეიტინგი, ხოლო Fitch Ratings კომპანიისგან - BB-/B რეიტინგი.

- **დებიტორული დავალიანება**

კომპანიის დებიტორული დავალიანება ძირითადად შედგება დაკავშირებული მხარეების მიმართ მოთხოვნებისგან, მათთვის გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. აღნიშნული მოთხოვნები ძირითადად ლარშია გამოხატული და მათი ვადა საანგარიშგებო თარიღიდან 3 თვეს შეადგენს. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 111 ლარის თავდაპირველი საბალანსო ღირებულების დებიტორული დავალიანება გაუფასურდა და სრულად არის გათვალისწინებული.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი ნიშნავს იმას, რომ კომპანია ვერ შეძლებს ნორმალურ ან სტრესულ ვითარებაში წარმოშობილი ყველა თავისი ფინანსური ვალდებულების დროულად დაფარვას. კომპანიის

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის*(თანხები მოცემულია ათას ლარში)***18. ფინანსური ინსტრუმენტებისათვის დამახასიათებელი რისკები (გაგრძელება)**

ლიკვიდურობის რისკს აანალიზებს და მართავს ხელმძღვანელობა.

2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება დასაფარი იყო 3 თვის ვადაში, ხოლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებები უტოლდება მათ საბალანსო ღირებულებას.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის საბაზრო ფაქტორების, მაგალითად, საპროცენტო განაკვეთებისა და უცხოური ვალუტის კურსების მერყეობის შედეგად ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების ცვლილების რისკი. კომპანიას არ გააჩნია არსებითი სავალუტო ან საპროცენტო რისკი.

19. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს 24-ის *(დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები)* მიხედვით, მხარეები დაკავშირებულ მხარეებთან ითვლებიან, თუ ისინი საერთო კონტროლის ქვეშ არიან, ან თუ ერთ მხარეს შესწევს მეორე მხარეზე კონტროლის, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენის უნარი ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას, თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის გათვალისწინებისას, ყურადღება ექცევა კავშირის შინაარსს და არა მარტო მის სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება ისეთი გარიგებები აწარმოონ, როგორც არ აწარმოებდნენ დაუკავშირებელი მხარეები, და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის. დაკავშირებულ მხარეებთან დადებული ყველა გარიგება, რომელიც ქვემოთაა განხილული, განხორციელდა საბაზრო პირობების მკაცრად დაცვით.

დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციებისა და ნაშთების ოდენობა ასეთია:

	31 დეკემბერი 2019		31 დეკემბერი 2018	
	<i>მშობელი კომპანია</i>	<i>საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები</i>	<i>მშობელი კომპანია</i>	<i>საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები</i>
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	–	3,394	–	5,030
დებიტორული დავალიანება	–	248	–	465
გადახდილი ავანსები და სხვა მოკლევადიანი აქტივები	–	–	–	–
	–	3,742	–	5,495
ვალდებულებები				
კრედიტორული დავალიანება	–	11	–	10
მიღებული ავანსები	–	16,450	–	8,650
საიჯარო ვალდებულებები	336	–	–	–
	336	16,461	–	8,660

დებიტორული დავალიანება ძირითადად წარმოადგენს სს „საქართველოს ბანკისგან“ მეტროს სადგურებში სივრცის ქვეიჯარისთვის მისაღებ თანხებს, რომელთა გადახდის ვადა 5-დან 25 დღემდე მერყეობს.

მიღებული ავანსები ძირითადად წარმოადგენს სს „საქართველოს ბანკისგან“ მომდევნო ათი წლის განმავლობაში საზოგადოებრივი ტრანსპორტის საგადახდო სისტემისა და ფლოტის მართვის მომსახურებასთან დაკავშირებით წინასწარ მიღებულ თანხებს.

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(თანხები მოცემულია ათას ლარში)

19. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

	2019		2018	
	მშობელი კომპანია	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	მშობელი კომპანია	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები
შემოსავლები				
ტრანზაქციების დამუშავებიდან მიღებული შემოსავალი	-	5,708	-	6,817
შემოსავალი დისკეტჩერიზაციის მომსახურებიდან	-	603	-	492
სხვა საოპერაციო შემოსავალი	-	1,539	-	905
	-	7,850	-	8,214
შესყიდვები და ხარჯები				
იჯარა	-	-	135	-
საპროცენტო ხარჯი	13	1,083	-	525
სხვა საოპერაციო ხარჯები	-	192	-	261
	13	1,275	135	786

2019 და 2018 წლებში ხელმძღვანელი პირების ანაზღაურებამ ჯამში შეადგინა 97 ლარი და 217 ლარი, შესაბამისი თანმიმდევრობით.

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2020 წლის დასაწყისიდან, მსოფლიო მასშტაბით გავრცელდა ახალი კორონავირუსი (ე.წ. COVID-19) და 2020 წლის 11 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ვირუსი პანდემიად გამოაცხადა. ამ გარემოების გამო, 2020 წლის 21 მარტს საქართველოში გამოცხადდა ერთთვიანი საგანგებო მდგომარეობა. ვითარების შედეგად, კომპანია გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. კომპანია თვლის, რომ მას აქვს ყველა ის რესურსი, რომელიც აუცილებელია, რომ განაგრძოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადი საწარმო. ამასთან, ზუსტი წინასწარმეტყველების გაკეთება თუ რამდენად იმოქმედებს კრიზისი მის საქმიანობაზე ჯერ კიდევ ნაადრევია. ასევე გაურკვეველია, თუ რამდენი ხანი დასჭირდება კრიზისიდან გამოსვლას. ასეთი გლობალური ინტეგრირებული კრიზისი პირველია ქართული ბიზნესის ისტორიაში და შესაბამისად, კორპორატიული გამოცდილება არ არსებობს.

ანგარიშგების თარიღის შემდეგ არ დამდგარა სხვა ისეთი მოვლენები, რაც ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვას ან გამჟღავნებას ექვემდებარება.



მმართველობის ანგარიშგება

მეტრო სერვის +

2019



მმართველობის ანგარიშგება

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი აერთიანებს კომპანიასთან დაკავშირებულ ისეთ არსებით კომპონენტებს, როგორცაა საქმიანობის შინაარსი, მომსახურების სტანდარტები და საორიენტაციო ღირებულებები; მოიცავს კომპანიის, როგორც განვლილ მიღწევებს, ისე მომავალში დასახულ მიზნებს და რაც ყველაზე მთავარია, კომპანიის განვითარების პოტენციალის ფაქტობრივ მაჩვენებლებს. ამასთან, გიზიარებთ ანალიტიკურ ინფორმაციას იმ ბიზნეს რისკების შესახებ, რომლებიც ქმნიან უმნიშვნელო თუ სერიოზულ წინაღობებს საქმიანობისათვის.

აღნიშნულ დოკუმენტში ავსახეთ ჩვენი ხედვა, სამომავლო გეგმები და კომპანიაში დამკვიდრებული კორპორაციული ეთიკის სტანდარტები.

საქმიანობის მიმოხილვა

კომპანიის შესახებ

კომპანია „მეტრო სერვის +“ 2006 წელს დაფუძნდა. მან პირველმა დანერგა საქართველოში მგზავრობის საფასურის საბარათე გადახდების სისტემა და უკვე მე-13 წელია მუნიციპალურ ტრანსპორტსა და საბაგირო სისტემებში მგზავრობის საფასურის მოკრების და ადმინისტრირების სფეროში ოპერირებს. „მეტრო სერვის +“-ს გააჩნია ქ. თბილისსა და ქ. ბათუმში 33 სერვის ცენტრი. ყოველდღიურად 700 000–მდე მგზავრს, 1 000–მდე მუნიციპალურ ავტობუსს და 2 000–მდე მიკროავტობუსს ემსახურება. კომპანიის განკარგულებაშია, საქართველოს მასშტაბით 3 000–ზე მეტი თვითმომსახურების ტერმინალი, რომელთა მეშვეობით მგზავრებს ბარათებზე თანხების დეკონირების და ჯარიმების გადახდის საშუალება ეძლევათ.

2014 წელს კომპანიის 100% წილის მფლობელი გახდა სს „ექსპრეს ტექნოლოჯიზ“, რომელიც საგადახდო სექტორის ინვესტირებასა და განვითარებაზე ორიენტირებული ჯგუფია. 2006 წელს შექმნილი კომპანია მიმართულია საქართველოში არსებული საგადახდო სისტემის პროგრესისაკენ, ინოვაციური ტრანზაქციის დამუშავების სისტემის დანერგვისა და ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე დამყარებული გადაწყვეტილებების მიწოდების გზებზე. სს „ექსპრეს ტექნოლოჯიზ“ ჯგუფში შემავალი კომპანიები ქმნიან საგადახდო სისტემის პლატფორმას, რომელიც ორიენტირებულია ბაზრისათვის პრიორიტეტული და მრავალფეროვანი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე. სამიზნე სექტორის მთავარ სუბიექტებს წარმოადგენენ ფინანსური ინსტიტუტები, სამთავრობო უწყებები, ტელეკომუნიკაციებისა და კომუნალური მომსახურების პროვაიდერები, მცირე და საშუალო ზომის კომპანიები. შეთავაზებულ პროდუქტებს შორის, გარდა საგადახდო პლატფორმისა არის - პლასტიკური ბარათების ემისია, ტრანზაქციების პროცესინგი და გადასახადების მოკრების ავტომატიზირებული სისტემა.

რას ვსაქმიანობთ

ურბანულ განვითარებასთან ერთად იზრდება მუნიციპალურ ტრანსპორტზე მოთხოვნაც, რაც საჭიროებს მუდმივ ინვესტირებას ახალ ინფრასტრუქტურაში, იზრდება საოპერაციო ხარჯები და აუცილებელია რაოდენობის მატება არ აისახოს მომსახურების ხარისხსა და ეფექტურობაზე.

სატრანსპორტო სისტემის საოპერაციო გამოწვევები მოიცავს გარე ინფრასტრუქტურის ინტეგრირებას შიდა სისტემასთან, მზარდი მოცულობის ინფორმაციის მენეჯმენტსა და ანალიტიკას, რისი განუყოფელი და ფუნდამენტური ნაწილია ტრანზაქციების პროცესინგი და გადასახადების მოკრება. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ელემენტი ერთობლიობაში ქმნის გადასახადების მოკრების მართვის სისტემას, რომელიც შპს „მეტრო სერვის +“ -მა წარმატებით დანერგა.

კომპანია ახდენს არაპერსონიფიცირებული პლასტიკური ბარათის „მეტრომანი“-ს ემისირებას, რომლითაც ხდება ანგარიშსწორება სატრანსპორტო მომსახურებისათვის თბილისის მეტროსადგურებში, ავტობუსებში, საბაგირო გზებსა და მიკროავტობუსებში. ხოლო ინფრასტრუქტურა, რომელიც დამონტაჟებულია სხვადასხვა სახის ტრანსპორტში შესაძლებელს ხდის ანგარიშსწორებას საბანკო ბარათების საშუალებითაც. გადახდების მოკრების ელექტრონული სისტემა დღეში ასი ათასობით ტრანზაქციას ამუშავებს, მომხმარებელთა მინიმალური ჩართულობით, რაც გულისხმობს, რომ პლასტიკური ბარათებით სარგებლობა მაქსიმალურად ამარტივებს ანგარიშსწორების პროცესს, არ არის საჭირო გრძელი რიგები ბილეთის ასაღებად და ყოველდღიური საბრუნავი ნაღდი ფულის მობილიზება ყველა ტრანსპორტში.

ელექტრონული გადახდები მარტივს ხდის ანალიტიკურ საქმიანობასაც: სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ხაზების განსაზღვრასა და ტრანსპორტის გადანაწილების მენეჯმენტს.

2007 წლიდან დღემდე გამოშვებულია 4 868 957 „მეტრომანი“, მათ შორის მიმდინარე მონაცემებით აქტიურია 2 636 427, მათი საშუალებით დღეში სრულდება დაახლოებით 1 050 000-მდე ტრანზაქცია, საშუალოდ 8 735 500 ლარიანი თვიური ბრუნვით.

მოკლე ფინანსური მიმოხილვა

კომპანია შედის Bank of Georgia Group PLC -ს სტრუქტურაში, რომელიც ივაჭრება ლონდონის საფონდო ბირჟაზე. აქედან გამომდინარე, დამფუძნებლის მოთხოვნის შესაბამისად, კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა დაარსებიდან ფასს სტანდარტებთან თანხვედრაშია. 2018 წელს მოხდა პირველი ფასს სტანდარტებთან შესაბამისად აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება. კომპანიას სააუდიტორო მომსახურება გაუწია შპს „იუაი საქართველომ“ და გამოქვეყნდა ანგარიშგება, რომელიც ასახავს ბოლო სამი წლის ფინანსური მდგომარეობას. 2018 წლის დეკემბერში კომპანიამ შეიცვალა აუდიტორული მომსახურების მომწოდებელი და აუდიტს აწარმოებს შპს ნექსია თიეი-მ. ქვემოთ წარმოდგენილია კომპანიის მოკლე ფინანსური ინფორმაცია.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	<u>2019</u>	<u>2018</u>
სულ აქტივები	<u>25,675</u>	<u>19,865</u>
სულ კაპიტალი	<u>7,955</u>	<u>7,533</u>
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	<u>25,675</u>	<u>19,865</u>

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	<u>2019</u>	<u>2018</u>
სულ შემოსავლები	10,352	10,364
სულ საოპერაციო ხარჯი	(8,832)	(6,621)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება	<u>1,520</u>	<u>3,743</u>
სხვა ფინანსური კომპონენტები	(1,098)	(556)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	<u>422</u>	<u>3,187</u>
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-
წლის მოგება/(ზარალი) და მთლიანი სრული შემოსავალი	<u>422</u>	<u>3,187</u>

გამოცდილება, ჩვენი პროექტები

2006 წელს „მეტრო სერვის +“სა და თბილისის მეტროს შორის გაფორმდა კონტრაქტი, რომლის მიზანია მგზავრობის საფასურის მოკრების და ადმინისტრირების უზრუნველყოფა. პროექტის ფარგლებში „მეტრო სერვის+“-მა თბილისის მეტროს სერვისების და ინფრასტრუქტურის სრული მოდერნიზება განახორციელა, მათ შორის დანერგა საბარათე გადახდების სისტემა.

2009 წელს „მეტრო სერვის +“-მა კონტრაქტი თბილისის ავტობუსებთან გააფორმა, რომლის ფარგლებში 700 ავტობუსში 1400 სალარო აპარატი და GPS/GPRS მოდული დამონტაჟდა, დაინერგა მონაცემთა პარალელური გადაცემის სისტემა. პროექტი უზრუნველყოფს ავტობუსის GPS კოორდინატების გადაცემას სატრანსპორტო კომპანიის სერვერზე.

2009 წლიდან, მთელი საქართველოს მასშტაბით განთავსებული 3200-ზე მეტი თვითმომსახურების ტერმინალების ქსელის საშუალებით, სატრანსპორტო ბარათების დატენვის (TOP UP) ინოვაციური სისტემა დაინერგა.

2009 წელს „მეტრო სერვის +“-მა კომპანია „მაგთიკომთან“ პირველი სოციალური სატრანსპორტო პროექტი განახორციელა სტუდენტებისთვის (ბალი ბარათი).

2011 წელს გაფორმდა 10 წლიანი ექსკლუზიური კონტრაქტი თბილისის მიკროავტობუსების მმართველ კომპანიებთან, რომლის ფარგლებში საბარათე სისტემის დანერგვა 2000-მდე მიკროავტობუსში განხორციელდა.

2011 წელს თბილისის მერიასა და სატრანსპორტო კომპანიასთან ერთად განხორციელდა მგზავრთა ვაუჩერიზაციის პროექტი, რომლის ფარგლებში 1,5 მლნ.-მდე მგზავრს სატრანსპორტო ბარათზე 5 ლარი დაერიცხა მუნიციპალურ ტრანსპორტში მგზავრობის საფასურის გადახდის მიზნით.

2011 წელს საქართველოს ბანკმა უნივერსალური ბარათი, Express Card სატრანსპორტო ფუნქციით გამოუშვა. აღნიშნული ბარათის მფლობელს აღარ სჭირდება სატრანსპორტო ბარათის შევსების პროცედურა, სამგზავრო თანხა ეჭრება უკვე საბანკო ანგარიშიდან, სადაც ხდება ხელფასის ან სხვა შემოსავლების ჩარიცხვა. გარდა ამისა, Express Card-ის მფლობელს შეუძლია გამოიყენოს ტრანსპორტში ბონუს ქულები, რომლებიც მან სხვადასხვა სავაჭრო დაწესებულებაში დააგროვა.

2012 წელს საბარათე სისტემა დაინერგა „რიყე–ნარიყალას“ საბაგირო გზაზე, ხოლო 2016 წელს კი, განახლებულ „ვაკე–კუს ტბის“ საბაგირო გზაზე.

2016 წელსვე 143 ახალ „MAN“-ის ტიპის ავტობუსში თანამედროვე ბარათების ვალიდატორების მონტაჟი მოხდა, ძველ „BOGDAN“-ის ტიპის ავტობუსებში კი, 130 ძველი სალარო აპარატი ახლით ჩანაცვლდა.

2016 წელს მოსწავლეებისთვის სატრანსპორტო ფუნქციით გამოვიდა უნივერსალური საბანკო ბარათი SchoolCard. ამავე წელს, სატრანსპორტო ფუნქციის მქონე უნივერსალური საბანკო „სტიკერები“ გამოვიდა.

2017 წლის იანვრიდან ახალ საბარათე სისტემაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალური ტრანსპორტიც გადავიდა, კერძოდ, 150 ავტობუსში თანამედროვე ბარათის ვალიდატორები დამონტაჟდა. გადახდების კონტროლის მიზნით, კონტროლიორებისა და კონდუქტორებისათვის სპეციალური მოწყობილობების გადაცემა მოხდა. მოეწყო თანამედროვედ აღჭურვილი სერვის ცენტრი, სადაც ხორციელდება როგორც სტანდარტული სამგზავრო ბარათების „ბათუმი ქარდი“-ს, ასევე პერსონიფიცირებული შეღავათიანი ბარათების გაცემა, რომლებზეც დაიტანება ბენეფიციარების ფოტო სურათი.



მს+–ის სატრანსპორტო პროექტის ფარგლებში შექმნილი გადახდის სისტემა განიცდის მუდმივ ცვლილებებს, განახლებებს და ადაპტირებას. 2006 წლიდან დღემდე განხორციელდა 150–მდე განახლება და ცვლილება, მათ შორის სატარიფო სქემის ძირეული ცვლილებები:

- გასვლაზე დაფუძნებული ფასდაკლებების სისტემის დანერგვა;
- მგზავრობის ჯერადობაზე დაფუძნებული ფასდაკლების სისტემის დანერგვა;
- დროზე დაფუძნებული ფასდაკლების სისტემის დანერგვა.

მს+–ში განხორციელდა 20–მდე სხვადასხვა ტიპის ბარათის მხარდაჭერა, მგზავრთა სხვადასხვა კატეგორიისთვის, როგორც საბანკო ბარათების, ასევე ჩვეულებრივი სატრანსპორტო ბარათების ემისიის გზით. კომპანიის განკარგულებაშია მაღალკვალიფიციური ტექნიკური ჯგუფი, რომელიც უმოკლეს

დროში უზრუნველყოფს თბილისის და ბათუმის მუნიციპალურ ავტობუსებში გადახდის მოწყობილობების ტექნიკურ მომსახურებას და დაზიანებებზე უსწრაფეს რეაგირებას. მეტრო სერვის + მუდმივ და უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს მომსახურების ხარისხის ამაღლებასთან დაკავშირებული პროცედურების დანერგვას.

2019 წლიდან კომპანია „მეტრო სერვის +“, საბარათე გადახდების პარალელურად, მომხმარებლებს საშუალებას აძლევს, საზოგადოებრივ ტრანსპორტში გადაიხადონ ე.წ. ერთჯერადი ბილეთებით, რომლის შექმნაც შესაძლებელია მობილური აპლიკაციის მეშვეობით.

თბილისის ავტობუსის, თბილისის მეტროსა და საბაგირო გზების მომხმარებელს ვთავაზობთ Android-ისა და IOS პლატფორმაზე მომუშავე ტელეფონებისთვის მობილურ აპლიკაციას, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია საქართველოს ბანკის თვითმომსახურების ტერმინალის დახმარებით თანხის ჩარიცხვა, სასურველი ტრანსპორტის არჩევა, ბილეთის შექმნა და გამოყენება.

გარდა ბილეთის შექმნისა „მეტრო სერვის+“ ავტობუსის, მეტროსა და საბაგიროს მომხმარებელს სთავაზობს შემდეგ სერვისებს:

მგზავრობის დაგეგმვა

დაგეგმეთ საუკეთესო მარშრუტი თქვენი ადგილმდებარეობის (სმარტფონის GPS სისტემა), ქუჩის სახელის, გაჩერების სახელის, ან რუკის დახმარებით.

გაჩერებები

გაჩერების არჩევა შესაძლებელია ადგილმდებარეობის (სმარტფონის GPS სისტემა), ქუჩის სახელის, გაჩერების სახელის, ან რუკის დახმარებით.

ონლაინ ავტობუსი

შეიყვანეთ მარშრუტის ნომერი და ნახეთ თუ სად მდებარეობს ავტობუსი როგორც სიის, ასევე რუკის მეშვეობით.

ავტობუსების განრიგი

უახლოესი გაჩერების არჩევა შესაძლებელია გაჩერების სახელით ან ID ნომრით.

ინფორმაცია

- საკონტაქტო ინფორმაცია
- ტარიფები
- მეტრომანი
- სამუშაო საათები

ასევე, 2019 წლიდან კონდუქტორს, რომელიც თბილისის ავტობუსში უბილეთო მგზავრების კონტროლს ახორციელებს, საშუალება აქვს Land Rover A8 ტიპის პადით გადაამოწმოს საბანკო და მეტრომანის ბარათებით შესრულებული გადახდები, ხოლო კონტროლიორს ბარათებით შესრულებული გადახდების შემოწმების და ჯარიმის გამოწერის საშუალება აქვს Smart POS Z91-ის პადის მეშვეობით. ორივე პადი NFC

ტექნოლოგიით კითხულობს ბარათებს და სერვერზე ამოწმებს გადახდების ისტორიას, ხოლო კავშირი მოწყობილობასა და სერვერს შორის არის GSM ტექნოლოგიით და ჩართულია VPN ქსელში, რომელიც პროვაიდერსა და კომპანია „მეტრო სერვის პლიუს“ შორის არის აწყობილი.

სამომავლო გეგმები

2020 წლიდან ყველა მუნიციპალური ტრანსპორტი აღიჭურვება ახალი სალარო აპარატებით და ბარათის წამკითხველი ვალიდატორებით. „მეტრო სერვის +“ როგორც ბანკის ქვეკონტრაქტორი კომპანია ტენდერის პირობების შესრულებაზე და შემდგომ ოპერირებაზეა პასუხისმგებელი, თუმცა ძირითადი მოთხოვნების გარდა, ჩვენი ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი არსებული მომსახურებისა და სერვისების მაქსიმალურ გამარტივებასა და გაუმჯობესებაზე მუშაობაა.

რისკ-ფაქტორები

თაღლითობა

ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად მრავალფეროვანი ხდება დანაშაულის სახეებიც, ქონებრივი ზიანი შესაძლოა დადგეს თაღლითობის და მომხმარებელთა არაკეთილსინდისიერი ქცევის შედეგად. ტექნოლოგიის „მოტყუება“ და ამ გზით ბალანსის შევსების მცდელობები იშვიათად, მაგრამ მაინც შეინიშნება. ასეთი მცდელობების, მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი შეიძლება დასრულდეს წარმატებით, რა შემთხვევაშიც სამართალდამცავი ორგანოების დახმარებით ხდება ზიანის სრულად აღმოფხვრა.

ინფორმაციული უსაფრთხოება

21-ე საუკუნეში ყველა ბიზნესისათვის მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს მომატებული კიბერ შეტევები და ფიშინგის მცდელობები. დამნაშავეთა პრიორიტეტულ სამიზნეს წარმოადგენს საფინანსო სექტორი, შესაბამისად არ ვივიწყებთ მოსალოდნელი თავდასხმის მცდელობებს და ინფორმაციული უსაფრთხოების უმაღლეს სტანდარტებს ვაწესებთ კომპანიის მასშტაბით. დაცვის მექანიზმები მოიცავს უახლეს და ცნობილ პროდუქტებს, რომელთა საშუალებით ხდება, როგორც შიდა ქსელის დაცვა გარე ზემოქმედებისგან, ისე სენსიტიური ინფორმაციის გაჟონვა ქსელის შიგნით. არსებული მოწყობილობების მონიტორინგისათვის გამოიყენება შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფები, რომლის მეშვეობით კონტროლდება ყოველი მოვლენა, რაც ხდება კომპანიისათვის მნიშვნელოვან მოწყობილობებზე და მომხმარებლების პერსონალურ კომპიუტერებზე. ამასთან, ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ხშირად ტარდება თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლების ტრენინგები, ყველა თანამშრომელი უზრუნველყოფილია მკაცრად გაწერილი ინსტრუქციებით, როგორ მოიქცეს ნებისმიერ საეჭვო სიტუაციაში.

აღსანიშნავია, რომ ბოლო მასშტაბური კიბერ შეტევების მიუხედავად შპს „მეტრო სერვის +“-ს არც ერთხელ არ შეხებია მავნე ვირუსი, რომელიც ჩვენი კონფიდენციალური ინფორმაციის დაზიანებას ან გაჟონვას გამოიწვევდა.

პანდემია და საერთაშორისო კრიზისი

პანდემიის მიერ გამოწვეული ვითარება გავლენას ახდენს არა მხოლოდ საქართველოზე და კონკრეტულ ბიზნესზე, არამედ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაზე. პანდემიასთან ბრძოლის მიზნით სხვადასხვა სახელმწიფომ ასევე მიიღო სპეციალური ღონისძიებები და ამოქმედა საგანგებო მდგომარეობა.

პანდემიისა და მისი თანმდევი კრიზისის გავლენა კომპანიაზე არის მინიმალური, ვინაიდან, მიუხედავად საგანგებო მდგომარეობისა, საგადახდო სერვისის უწყვეტობა სახელმწიფოს ნორმალური ფუნქციონირების აუცილებელი ნაწილია. შესაბამისად, კომპანია საგანგებო მდგომარეობის სრულ პერიოდში წარმოადგენდა ნებადართული ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელ სუბიექტს და საქმიანობის შეზღუდული სპექტრის მიუხედავად ორიენტირებული იყო მიემართა რესურსები სამომავლო გეგმებისა და მიმდინარე პროექტების განხორციელებისაკენ. „მეტრო სერვის +“-ს ქვეყანაში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის გამო საყურადღებო დანაკარგი არ განუცდია.

უსაფრთხო, უწყვეტი მუშაობის უზრუნველყოფისთვის, რიგი ჰიგიენური და პირადი უსაფრთხოების რეგულაცია დაინერგა კომპანიაში, რაც ეფუძნება მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის რეკომენდაციებს.

ფულის გათეთრებასა და ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლა

კომპანია ცდილობს დაამკვიდროს უმაღლესი სტანდარტები და გამორიცხოს ნებისმიერი ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების შემთხვევა.

ჩვენთან თანამშრომლობის პირველი წინაპირობაა პარტნიორთა საქმიანობაზე, რეპუტაციაზე და არსებით დეტალებზე ძირფესვიანი მოკვლევა. პრიორიტეტულია, რომ არ მოხდეს უკანონო საქმიანობით მიღებული შემოსავლების ბრუნვა და ამ მხრივ ნებისმიერი ექვის შემთხვევაში მივმართავთ კომპეტენტურ ორგანოებს მითითებების მიღებისა და ადეკვატური რეაგირებისთვის.

შპს „მეტრო სერვის +“ ითვალისწინებს საქართველოს ეროვნული ბანკისა და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ყველა მოთხოვნასა და რეკომენდაციას, აქტიურად ვთანამშრომლობთ მათთან და ვცდილობთ ჩვენი წვლილი შევიტანოთ უკანონო შემოსავლის აღკვეთასა და ტერორიზმთან ბრძოლაში. დღემდე ამ კუთხით არ გამოვლენილა არც ერთი უკანონო შემთხვევა, რომელიც განხორციელდა ჩვენი საგადახდო არხების ან ჩვენი საქმიანობის ხელშეწყობით.

კორპორაციული მართვის ანგარიშგება

კომპანიის სტრუქტურა მაქსიმალურადაა მორგებული ბიზნეს საქმიანობის გამარტივებასა და ეფექტურობაზე, სტრუქტურის თავში გვევლინება დირექტორი დავით ლიპარტელიანი.

დირექტორის მოკლე ბიოგრაფია

დავით ლიპარტელიანი შპს „მეტრო სერვის +“-ის დირექტორად დაინიშნა 2006 წელს და მე-12 წელია უცვლელად და წარმატებით უძღვება კომპანიას. მას აქვს საფინანსო სფეროში მოღვაწეობის მრავალწლიანი გამოცდილება. სამუშაო გამოცდილება 1998 წლიდან იწყება. 1998-2002 წლებში მუშაობდა შპს „ინტელინვესტში“ ეკონომიკური სექტორის ოფიცრის თანამდებობაზე. 2002-2003 წლებში სს „ფოთის გემთსაშენში“ ფინანსური დირექტორის თანამდებობაზე. 2003-2006 წლებში შპს „ბლექ მეტალ ინტერ“-ში, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ.


დავით ლიპარტელიანს მიღებული აქვს საინფორმაციო სისტემების მენეჯერის დიპლომი, მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

სტრუქტურის თავისებურებანი და მაგალითები

კომპანიის სტრუქტურა შედგება ჰორიზონტალური და ვერტიკალური ხაზით დაკავშირებული ქვედანაყოფებისაგან, რომელთაგან ყველა ექვემდებარება დირექტორს ან/და ზედამხედველ სტრუქტურულ ერთეულს. სწორედ ეს დანაყოფები არიან პასუხისმგებელი კომპანიის ოპერაციულ საქმიანობაზე.

ნებისმიერი სამსახურისათვის ცალკეულად ყალიბდება პროცედურული დოკუმენტაცია, რომელიც შემდგომ იყოფა თითოეული თანამდებობისათვის მიკუთვნილებული ფუნქცია-მოვალეობებისათვის დამახასიათებელი პროცედურის აღწერილობით. ჩვენი სტრუქტურის ჩამოყალიბებისა და განახლებების პროცესში გადამწყვეტ მნიშვნელობას ვანიჭებთ უფლება-მოვალეობების ზუსტ გამიჯვნასა და პროცედურული ინსტრუქციების ნათლად გამოსახვას, რათა მოხდეს შესასრულებელი სამუშაოს სრულად დაფარვა, ისე, რომ ეფექტურად იქნეს გამოყენებული ადამიანური თუ მატერიალური რესურსი.

სტრუქტურული დაყოფის მაგალითი



კომპანიის პოლიტიკები

საერთაშორისო რეგულაციებისა და საუკეთესო პრაქტიკის მიხედვით შექმნილი კორპორაციული მართვის პრინციპების დანერგვასათვის, კომპანიაში შექმნილია პოლიტიკები, რომლებიც განსაზღვრავენ თანამშრომელთა მოქცევისა და ყოველგვარ დარღვევაზე ადეკვატური რეაგირების წესებს. პოლიტიკებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობით გამოირჩევა:

ინტერესთა კონფლიქტის მართვის პოლიტიკა

პოლიტიკის მიზანია განსაზღვროს არსებული, პოტენციური და შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის ფაქტების განსაზღვრის, მართვისა და აღკვეთის წესები. განმარტოს ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული თემები და დაეხმაროს თანამშრომლებს მათ პრევენციასა და ადეკვატურ რეაგირებაში. კერძოდ:

- განსაზღვროს ის სიტუაციები, სადაც შესაძლებელია წარმოიშვას ინტერესთა კონფლიქტი;
- ჩამოაყალიბოს ინტერესთა კონფლიქტის აღმოჩენის, პრევენციისა და მართვის პროცედურები, მექანიზმები და სისტემები;
- დაიცვას კომპანიის, მისი მომხმარებლების, თანამშრომლების, ინვესტორებისა და მომწოდებლების ინტერესები, კონფლიქტის აღმომფხვრელი შესაბამისი ზომების შემუშავებით;
- უზრუნველყოს საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციებთან შესაბამისობა.

ინტერესთა კონფლიქტის პრევენციის მიზნით დაწესებული შეზღუდვები/აკრძალვები:

- საქმიანობა დამსაქმებელი კომპანიის გარეთ;
- ნათესაური კავშირები დაქვემდებარებულ თანამშრომელთა შორის;
- აზარტული თამაშებისადმი დამოკიდებულება;
- ნარკოდამოკიდებულება;
- პერსონალური ტრანზაქციები.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა

დოკუმენტის მიზანია პერსონალური მონაცემების შესახებ საქართველოს კანონისა და საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, საჭირო პროცესების და რეგულაციების დანერგვა და აღწერა. ამ კუთხით თანამშრომელთათვის აუცილებელი შეზღუდვების დაწესება და ამავდროულად მათი პერსონალური მონაცემთა დაცვა უკანონო და არამიზნობრივი გამოყენებისაგან.

ინფორმაციის კლასიფიკაციისა და მართვის პოლიტიკა

ინფორმაციული რესურსების გამოყენებაზე პრევენციული და დეტექციური კონტროლის გაუმჯობესების მიზნით, საჭიროა ინფორმაციის არქიტექტურული ინფრასტრუქტურის შექმნა, რომელიც გულისხმობს რისკების შეფასებაზე დაფუძნებული მიდგომით ინფორმაციის კლასიფიცირებას. შესაბამისი

პასუხისმგებელი პირების განსაზღვრას, ინფორმაციისა და ინფორმაციული რესურსების დახარისხებას კონფიდენციალურობის დონის მიხედვით, წვდომისა და გამოყენების სხვა წესების შემუშავებას.

აღნიშნული პოლიტიკის თანახმად, ინფორმაცია იყოფა კონფიდენციალურობის ოთხ კატეგორიად, ესენია - „საჯარო“, „შიდა მოხმარების“, „კონფიდენციალური“ და „სრულიად საიდუმლო“. ინფორმაციის მართვა რეგულირდება აღნიშნული დონეების მიხედვით და მოიცავს ინფორმაციის მარკირების, გადაადგილების, წვდომის მინიჭების, შენახვისა და განადგურების წესებს.

შეტყობინების მართვის პოლიტიკა

პოლიტიკის მიზანია, ხელი შეუწყოს დამსაქმებელ კომპანიაში ისეთი გარემოს ჩამოყალიბებას, სადაც ოპერატიულად იქნება გამოვლენილი და აღკვეთილი ნებისმიერი შეუსაბამობა თუ დარღვევა. სწორედ კომპანიაში დასაქმებული ადამიანები არიან თვითმხილველნი მათ ირგვლივ არსებული დარღვევებისა. პოლიტიკის თანახმად, დამსაქმებელი კომპანია უზრუნველყოფს განმცხადებელი პირის ანონიმურობას, მისი განცხადება განიხილება სრული პასუხისმგებლობით და კონფიდენციალურობის მკაცრი დაცვით.

პარტნიორთა საერთო კრების უფლებებისა და მათი განხორციელების წესების მიმოხილვა

კომპანიის 100% წილის მფლობელს წარმოადგენს სს „ექსპრეს ტექნოლოჯიზ“, პარტნიორთა უფლება-მოვალეობანი მოწესრიგებულია კომპანიის წესდებით, რომელიც წარმოადგენს საჯაროდ გამოქვეყნებულ დოკუმენტს.

პარტნიორთა კრება კომპანიის უმაღლესი მმართველობითი ორგანოა, პარტნიორი უფლებამოსილია მართოს კომპანია, როგორც უშუალოდ, ისე წარმომადგენლის საშუალებით.



რიგითი პარტნიორთა კრება იმართება წელიწადში ერთხელ, სამეურნეო წლის დამთავრებიდან ორი თვის ვადაში. დამატებითი დეტალები მმართველობითი უფლებამოსილების მქონე ორგანოს შესახებ მოცემულია კომპანიის წესდებაში.

არაფინანსური ანგარიშგება

ჩვენი გუნდი

დასაქმებულია 310-მდე თანამშრომელი (დსრ 2019 – 291; დსრ 2018 – 242). უამრავი კანდიდატიდან, ჩვენ არჩევანს ვაკეთებთ ყველაზე მოტივირებული და მონდომებული პირების სასარგებლოდ. კომპანიის საქმიანობის წარმატებულად წარმართვაში არსებით როლს ასრულებს ადამიანური რესურსი, ამიტომ ვცდილობთ შევქმნათ ოპტიმალური პირობები ეფექტური შრომისა და კარიერული განვითარებისათვის. ჩვენი თანამშრომელზე ორიენტირებული მიდგომის საბაზისო საყრდენი სამართლიანობაა, რომლის გამოვლენას ვცდილობთ ადეკვატური ანაზღაურების, დამატებითი ბონუსების გაცემითა და დივერსიფიკაციის პატივისცემით, რომელიც აუცილებლად ახასიათებს ადამიანთა ნებისმიერ ფართო წრეს.

ქვემოთ ილუსტრირებულია კომპანიაში დასაქმებულ თანამშრომელთა გენდერული თანაფარდობა, მენეჯერული და არამენეჯერული პოზიციების დაკავების კუთხით, ასევე ასაკობრივი დივერსიფიკაციის მაგალითები:



ჩვენ ვიაზრებთ და ვიღებთ ჩვენ წილ პასუხისმგებლობას ჩვენი დასაქმებულების წინაშე, თუმცა სანაცვლოდ მათგანაც ვითხოვთ კეთილსინდისიერ და გონივრულ დამოკიდებულებას საქმის მიმართ, რაზეც ნათლად მიუთითებს ჩვენი შრომის შინაგანაწესი და ეტიკის კოდექსი.

ჯანსაღი გარემო შრომისათვის

აღსანიშნავია, რომ საქმიანობის დაწყებიდან დღემდე შპს „მეტრო სერვის +“-ის მიმართ მხოლოდ ერთხელ აღიძრა საქმე შრომით დავასთან დაკავშირებით. ვაცნობიერებთ, რომ ჩვენი თანამშრომლები ჩვენი წარმატების საწინდარია, ამიტომ ვცდილობთ განურჩევლად ყველას შევუქმნათ თანაბარი შესაძლებლობები განვითარებისათვის.

აღნიშვნის ღირსად მიგვაჩნია, რომ მკაცრად ვიცავთ ჩვენი თანამშრომლებისა და მომხარებლების პერსონალურ მონაცემებს, რისკების ადეკვატური დაცვის მექანიზმები პერიოდული გადახედვისა და განახლების საგანია. შპს „მეტრო სერვის +“-ის ხელთ არსებულ პერსონალურ მონაცემთა კატალოგების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის აპარატის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე

კანონმდებლობა ადგენს უსაფრთხოების მინიმალურ სტანდარტებს, ჩვენ ვცდილობთ საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო პრაქტიკა გავითავისოთ და შევუქმნათ ჩვენს თანამშრომლებს უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო შრომისათვის.

კომპანიის შენობაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინფრასტრუქტურა, თანამშრომლებს უტარდებათ ტრენინგი, თუ როგორ მოიქცნენ უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად და როგორ მოახდინონ სწრაფი რეაგირება სტიქიურ უბედურებებსა და გაუთვალისწინებელ შემთხვევებზე.

შექმნილია ბიზნესის უწყვეტობის მართვის პოლიტიკა და გამოყოფილია საკვანძო თანამშრომელთა ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელია კრიზისული სიტუაციის მართვაზე.

კორუფციასთან ბრძოლა

კომპანიის ფარგლებში დაუშვებელია კორუფცია და ქრთამის აღება/მიცემა, მიუხედავად მისი ოდენობისა და გამოხატვის ფორმისა. ჩვენ მაქსიმალურად მკაცრად ვაფასებთ ნებისმიერ ქმედებასა თუ ტრანზაქციას, რომელიც შეიძლება აღქმული იქნეს, როგორც არამართლზომიერი გავლენა კომპანიისკენ მიმართულ გადაწყვეტილებებზე.

ამ სფეროს დასარეგულირებლად კომპანია იყენებს, საკმაოდ ვრცელ პოლიტიკას „ინტერესთა კონფლიქტის მართვის თაობაზე“, ხოლო კონკრეტულად განსაზღვრული სტრუქტურული ერთეული ახორციელებს კონტროლს, რათა ნებისმიერი თანამშრომელი და კომპანიის მიერ თუ კომპანიაში განხორციელებული ქმედება იყოს შესაბამისობაში ამ პოლიტიკასთან.

ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები

მმართველობითი ანგარიშგების წარდგენაზე პასუხისმგებელია კომპანიის მართვაზე უფლებამოსილი პირი - დირექტორი.

ჯანსაღი გარემო შრომისათვის

აღსანიშნავია, რომ საქმიანობის დაწყებიდან დღემდე შპს „მეტრო სერვის +“-ის მიმართ მხოლოდ ერთხელ აღიძრა საქმე შრომით დავასთან დაკავშირებით. ვაცნობიერებთ, რომ ჩვენი თანამშრომლები ჩვენი წარმატების საწინდარია, ამიტომ ვცდილობთ განურჩევლად ყველას შევუქმნათ თანაბარი შესაძლებლობები განვითარებისათვის.

აღნიშვნის ღირსად მიგვაჩნია, რომ მკაცრად ვიცავთ ჩვენი თანამშრომლებისა და მომხარებლების პერსონალურ მონაცემებს, რისკების ადეკვატური დაცვის მექანიზმები პერიოდული გადახედვისა და განახლების საგანია. შპს „მეტრო სერვის +“-ის ხელთ არსებულ პერსონალურ მონაცემთა კატალოგების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის აპარატის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე

კანონმდებლობა ადგენს უსაფრთხოების მინიმალურ სტანდარტებს, ჩვენ ვცდილობთ საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო პრაქტიკა გავითავისოთ და შევუქმნათ ჩვენს თანამშრომლებს უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო შრომისათვის.

კომპანიის შენობაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინფრასტრუქტურა, თანამშრომლებს უტარდებათ ტრენინგი, თუ როგორ მოიქცნენ უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად და როგორ მოახდინონ სწრაფი რეაგირება სტიქიურ უბედურებებსა და გაუთვალისწინებელ შემთხვევებზე.

შექმნილია ბიზნესის უწყვეტობის მართვის პოლიტიკა და გამოყოფილია საკვანძო თანამშრომელთა ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელია კრიზისული სიტუაციის მართვაზე.

კორუფციასთან ბრძოლა

კომპანიის ფარგლებში დაუშვებელია კორუფცია და ქრთამის აღება/მიცემა, მიუხედავად მისი ოდენობისა და გამოხატვის ფორმისა. ჩვენ მაქსიმალურად მკაცრად ვაფასებთ ნებისმიერ ქმედებასა თუ ტრანზაქციას, რომელიც შეიძლება აღქმული იქნეს, როგორც არამართლზომიერი გავლენა კომპანიისკენ მიმართულ გადაწყვეტილებებზე.

ამ სფეროს დასარეგულირებლად კომპანია იყენებს, საკმაოდ ვრცელ პოლიტიკას „ინტერესთა კონფლიქტის მართვის თაობაზე“, ხოლო კონკრეტულად განსაზღვრული სტრუქტურული ერთეული ახორციელებს კონტროლს, რათა ნებისმიერი თანამშრომელი და კომპანიის მიერ თუ კომპანიაში განხორციელებული ქმედება იყოს შესაბამისობაში ამ პოლიტიკასთან.

ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები

მმართველობითი ანგარიშგების წარდგენაზე პასუხისმგებელია კომპანიის მართვაზე უფლებამოსილი პირი - დირექტორი.